ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

1933 წ. ივლისი
პარიზი

№ 35

1933 — JUILLET
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁞ «L' ECHO DE LA LUTTE»—Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია

მეტათ ცუდ და მძიმე პირობებში შეიკრიბა ლონდონის მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია. დღეს მთელი ქვეყანა უდიდეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის და მას ბოლო არ უჩანს. ეს კრიზისი არ დაწყებულა გუშინ, მაგრამ განსაკუთრებით მან თავი იჩინა მალე დიდი ომის შემდეგ და მერმედ ის თანდათან ღრმავდებოდა.

დიდი ომის ხანებში საწარმოვო ძალები თვალსაჩინოთ განვითარდა და გაიზარდა და ეს ზრდა და განვითარება ომის შემდეგაც სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ტეხნიკურ ცვლილებებმა და გაუმჯობესობამ, როგორც ინდუსტრიის, ისე სასოფლო მეურნეობის დარგში, ყოველგან დიდი ნაყოფი გამოიღო. სპეციალისტ ეკონომისტების გამოანგარიშებით ნაწარმოებთა საერთო რაოდენობა 1925 წელს დაახლოვებით 20 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ომის წინა ხანებში. თუ მეტი საქონელია დამუშავებული და დამზადებული, ნორმალური და ლოღიკურია ადამიანმა იფიქროს, რომ ეს საქონელი მეტი უნდა იყიდებოდეს და სალდებოდეს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება და სწორეთ მას, ვინც ამ საქონელს ამუშავებს და ქმნის, არ აქვს საშუალება ის იყიდოს და შეიძინოს და მით თავის მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. ამავე დროს კი საწყობები სავსეა პურით, ყავით და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნებით, რომელთა ხშირათ ცეცხლს უკიდებენ და ანიავებენ და ამ გზით მათი ფასის დაცემას ხელს უშლიან.

დღეს მთელ მსოფლიოში 30 მილიონი უმუშევარია, მიუხედავათ ამისა ამ საერთო ეკონომიური კრიზისის ხანაში წარმოების რაციონალიზაცია გრძელდება და უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო მატულობს და იზრდება.

ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა, ხელფასის სიმცირე, ცხოვრების სიძვირე, დიდი გადასახადები... აი ცხოვრების დღევანდელი მწვავე მოვლენები.

უჭირს მუშას, უჭირს გლეხს და უმუშევარს. მაგრამ მათ ყურადღებას ვინ აქცევს! მაგრამ კრიზისი ბანკებს, წარმოების სხვადასხვა დარგებს და შეძლებულთა ჯიბეებსაც შეეხო, ამან კი ბურჟუაზიული წრეები და მთავრობები შეაშინა და შეაშფოთა და შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ პალიატივების ძებნა დაიწყო. და აი მოიწვიეს ლონდონის კონფერენცია შესაფერი ზომების გამოსანახავათ.

რა ხდება დღეს ლონდონში?

კონფერენციის გახსნისას ის ზოგ დელეგატების მიერ უმთავრესათ სადემაგოგიო და სამანიოვრო მიზნებისათვის იქნა გამოყენებული. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი დღეს საშინელ სიმშილს განიცდის და იქ ყოველმხრივ დიდი გაჭირვება და ცუდი მდგომარეობაა, ლიტვინოვი საქვეყნოთ და ყველას სასაცილოთ ურცხვათ აცხადებს კონფერენციაზე, რომ რუსეთი ერთათ ერთი ქვეყანა, რომელსაც მსოფლიო კრიზისი არ შეხებია. ის ირწმუნება, რომ საბჭოთა რუსეთი მზათ არის უცხოეთის ბაზარზე შეიძინოს ერთი მილიარდი დოლარის საქონელი, თუ, რასაკვირველია, მას ფართე და გრძელ ვადიან კრედიტებს გაუხსნიან. ცხადია, ამ განცხადებების მიზანია ნიუიორკის, თუ პარიზის ბირჟაზე სესხის ასაღებათ ნიადაგი მოამზადოს. მოსკოვი ყურს უჭედავს საბჭოთა კავშირის შიგნით ყველას, რომ ბოლშევიკური პარტია მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდია და სულ მალე ამ ავანგარდის ხელმძღვანელობით ყოველგან სოციალისტური რევოლიუცია მოხდება, ლონდონში კი ლიტვინოვი ბურჟუაზიის წარმომადგენელთ ცინიკურათ არწმუნებს, რომ საბჭოთა რუსეთის სოციალისტურ სისტემას შეუძლია მშვიდობიანათ იარსებოს კაპიტალისტური სისტემის გვერდით და მათ შორის კონფლიქტებს არ ექნეს ადგილი.

ლონდონის კონფერენციის მანიოვრებისათვის გამოყენებაში ლიტვინოვს არც ფაშისტურ გერმანიის წარმომადგენელი—ჰუგენბერგი ჩამორჩა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ ჰუგენბერგის განცხადებას გაცილებით უფრო მეტი სენსაციური ხასიათი ქონდა.

ჰუგენბერგი თავის მემორანდუმში, რომელიც კონფერენციას გადასცა, ამბობდა რომ გერმანიის ერი არის მეტათ ენერგიული და შემოქმედებითი რასა, რომელსაც არ აქვს საკმაო ტერიტორია და ეს მას უნდა მიეცეს. ის თხოულობს კოლონიების დაბრუნებას აფრიკაში და აგრეთვე სხვა ისეთ ადგილებს, სადაც გერმანიას ფართე კოლონიზატორული პოლიტიკის წარმოება შეეძლება. ომი, რევოლიუცია და შინაური არევ-დარევა რუსეთში და აღმოსავლეთ ევროპის მიდამოებში მიზეზია იმ რღვევითი პროცესისა, რომელიც იქ ჯერ კიდევ გრძელდება და ჩვენი მოვალეობაა ეს შევაჩეროთო.

კონფერენციის წრეებში ჰუგენბერგის მემორანდუმი ისე იქნა გაგებული, რომ გერმანიას უნდა კოლონიზატორული პოლიტიკა აწარმოვოს არა მხოლოთ რუსეთში, არამედ ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთში და, საერთოთ, აღმოსავლეთ ევროპაში. ამან კი დელეგატების საერთო გაკვირვება გამოიწვია. მეორე დღესვე მემორანდუმი გამოცხადებულ იქნა ჰუგენბერგის პირად აზრათ. მაგრამ ცხადია, რომ აქ ჰუგენბერგის პირადი აზრი არაფერ შუაშია და მემორანდუმი ოფიციალურ აზრს გამოხატავდა. გაუგებარია მხოლოთ, თუ რა მოსაზრებით იქნა ეს მემორანდუმი ოფიციალურათ გადაცემული და ჩუმი ზრახვები სააშკარაოზე გამოტანილი.

ამერიკელების სურვილის წინააღმდეგ, თუმცა მათთვის არა მოულოდნელათ ლონდონის კონფერენციაზე წამოიჭრა აგრეთვე სამხედრო ვალების საკითხიც.

მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ შარშან ლოზანაში ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას და ბელგიის შორის დაიდო ხელშეკრულება რეპარაციების შესახებ. ეს შეთანხმება შევიდოდა ძალაში და მისი რატიფიკაცია მოხდებოდა მხოლოთ იმის შემდეგ, როცა ეს სახელმწიფონი მოაგვარებდენ თავიან სამხედრო ვალების საკითხს ამერიკასთან. ვიცით აგრეთვე, რომ ამ შეთანხმებას დიდათ ხელს უწყობდა თვით ამერიკა. გერმანია სარეპარაციო ვალებისაგან თითქმის განთავისუფლებული იქნა და მის მოვალეთ ფაქტიურათ ის დღეს ერთ სანტიმსაც არ უხდის, ამერიკა კი სამხედრო ვალებისაგან სხვების განთავისუფლებას, ან ამ ვალების შემცირებას არცკი ფიქრობს. ამან გამოიწვია ის, რომ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა ამერიკას თავიანთ ვალების გადახდაზე დღეს უარს ეუბნება. ამერიკა ერთ დროს სამხედრო ვალების საკითხს საერთაშორისო განიარაღების პრობლემას უკავშირებდა. ამიტომაც საერთო აზრი იყო: თუ ჟენევის კონფერენცია კარგათ დამთავრდებოდა, ამით სამხედრო ვალების საკითხიც გადაიჭრებოდა და ლონდონის მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობას მკვიდრი საფუძველი ჩაეყრებოდა.

მაგრამ ჟენევის კონფერენციის ამდენი ხნის მუშაობამ დღემდინ არაფერი მოგვცა და სამხედრო ვალებიც მოუგვარებელი დარჩა. მეტი გამოსავალი აღარ იყო, ჟენევის კონფერენციის სხდომები უნდა შეეწყვიტათ და ლონდონს მიშურებოდენ, ჟენევას ეგებ ლონდონი მიეხმაროს და გზა გაუკაფოსო. ამნაირად კონფერენციიდან კონფერენციაზე მოსიარულე დიპლომატები, მოჯადოებულ წრეში მომწყვდეულნი, ხან ხან ჟენევაში და ხან ლონდონში ეძებენ.

ლონდონის კონფერენციის წინაშე დღეს მეტათ რთული და ძნელი პრობლემები დგას. კონფერენციაზე ბევრს ლაპარაკობენ ფულის სტაბილიზაციის საჭიროება-აუცილებლობაზე, რომ მით კომერციულ საქმიანობას შეუქმნან შესაფერი გარანტია და შესაძლებელი გახადონ დიდხნიანი ეკონომიური ხელშეკრულებანი; მთავრობათა შორის მოხდეს შეთანხმება, რათა ზოგ წარმოების დარგში (როგორც მაგალითად პური, ღვინო, ნახშირი, შაქარი, ყავა და სხვ.) მუშაობა და პროდუქცია მსოფლიო მაშტაბით მიზანშეწონილათ იყოს შეფარდებული მოხმარების რეალურ შესაძლებლობასთან; იქონიონ ცენტრალურ ბანკების განსაზღვრული საკრედიტო პოლიტიკა, არსებობდეს კონვენცია ბირჟებზე სპეკულიაციის წინააღმდეგ, დააწესონ ორმოცი საათის მუშაობა კვირაში, მოგვარებულ იქნას ბაჟების საკითხი და ბევრი სხვა.

კონფერენციის წინაშე ასეთი რთული და სერიოზული საკითხებია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთი ინტერნაციონალური კონფერენცია არ ყოფილა ასე ცუდათ მოწყობილი და მომზადებული, როგორც ეხლა ლონდონის კონფერენციაა. ზოგ დელეგაციებს, როგორც მაგალითად ამერიკულს, არავითარი წინასწარ შემუშავებული პროგრამაც კი არ აქვს და ერთ და იმავე დელეგაციაში აზრთა მუდმივი სხვადასხვაობა და კონფლიქტებია.

საერთოთ ამ კონფერენციას კარგი პირი არ უჩანს და მისი მუშაობა ამ ახლო მომავალში რომც არ შეწყდეს, მან რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები გადასწყვიტოს და მოაგვაროს და არსებული მსოფლიო კრიზისი მოსპოს ეს ყოვლათ შეუძლებელია. დღევანდელი მსოფლიო კრიზისი უმთავრესათ ზედმეტ წარმოების კრიზისია. ამ კრიზისიდან თავის დაღწევა და მისი მოსპობა მოსალოდნელია მხოლოთ მაშინ, თუ ზედმეტ წარმოებასთან ერთათ საერთო მოხმარებითი შესაძლებლობაც გაიზრდება, ორივე ისინი ერთნაირ დონეზე დადგება და მათ შორის სრული წონასწორობა დამყარდება. მაგრამ ასეთ წონასწორობის დამყარება იქნებოდა თვით დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების მოსპობა და ახალი სოციალისტური რეჟიმის შემოღება. ამისათვის კი ლონდონის კონფერენცია არ არის მოწოდებული და ასეთ რამეს ვერც იქ მყოფნი და ერთმანეთ შორის მოქიშპე ბურჟუაზიული მთავრობების წარმომადგენელნი იზამენ. ამ კონფერენციას, თუ ის გაგრძელდება, შეუძლია მხოლოთ შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობის შესამსუბუქებლათ ზოგ პალიატივურ ზომების გამონახვა და მიღება.

დღევანდელ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისის ხანაში მალე იჩინა თავი ეკონომიურმა ნაციონალიზმა. ყველაზე უწინ დიდი ომის შემდეგ ეს ეკონომიური ნაციონალიზმი გაბატონდა საბჭოთა რუსეთში მისი საგარეო და საშინაო ვაჭრობის მონოპოლიის სახით. ინგლისში სწარმოებს ეხლა უდიდესი პროპაგანდა მთელი ბრიტანეთის იმპერიის ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულათ გადასაქცევათ. ფაშისტები გერმანიაში ქადაგობენ გერმანიის სხვისგან ეკონომიურათ დამოუკიდებლობის და თავისი საკუთარი კოლონიების მოპოვებას. ამერიკაში გრძელდება მოძრაობა, რომ ის ევროპის საქმეებში არ ერეოდეს და მასთან მას ნაკლები კავშირი ქონდეს.

ეკონომიური ნაციონალიზმი ნიშნავს ეკონომიურ ომს: ბრძოლას ბაზრისათვის და ნედლი საქონლისათვის, ბრძოლას ნაწარმოებთა გასასაღებლათ და კაპიტალის ახალ ასპარეზზე დასაბანდებლათ. ეს ბრძოლა კი ხშირათ სწარმოებს იარაღით ხელში და ამ გზით ხალხები ეხვევიან ომებით გამოწვეულ ცეცხლის ალში. სხვადასხვა ერთა ბურჟუაზიის ეს გიჟური მიდრეკილება შესაძლებელია შენელებულ და რამოდენიმეთ შეკავებულ იქნას საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობით, საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენით, სათანადო საერთაშორისო ორგანოების დაარსებით, ბაჟების თვალსაჩინოთ შემცირებით და სხვა.

როგორც უკვე ვამბობდით, არ არის შესაძლებელი ლონდონის კონფერენციამ გადასჭრას ყველა ის რთული და სადაო საკითხები, რომელიც დღეს მის წინაშე დგას. მაგრამ, თუ ის ზემოთ ჩამოთვლილ ბევრ პრობლემათა შორის გადასწყვეტს და მოაგვარებს ზოგ მნიშვნელოვან საერთაშორისო ხასიათის ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებს, დღევანდელ პირობებში ესეც დიდი მიღწევა იქნება: ეს ერთნაირათ შეანელებდა არსებულ მსოფლიო კრიზისის მწვავე მოვლენებს; ცოტათი მაინც გასწმენდდა ეკონომიური ნაციონალიზმით მოწამლულ ატმოსფერას და ნიადაგს მოუმზადებდა ერთა შორის უფრო მკვიდრ დამოკიდებულებას და თანამშრომლობას.

პ. გვარჯალაძე.

◆

საჭირო ნაბიჯი

მომავალ შემოდგომაზე შესრულდება თექვსმეტი წელიწადი, რაც მსოფლიოს მეექვსედ ნაწილზე ბატონობს კომუნისტური ხელისუფლება. თექვსმეტი წელიწადი ისტორიისათვის იგივეა, რაც ზღვისათვის ერთი წვეთი წყალი, მაგრამ თანამედროვე თაობებისათვის იგი საკმაოდ დიდი ხანაა.

თავიდან არავინ ფიქრობდა, რომ ამ უაღრესათ ანტისოციალური ხელისუფლების თარეში ასე ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა. არა მარტო მტრების, არამედ მისი მოყვრების ვარაუდითაც მისი არსებობის ვადა რამდენიმე თვით, უკიდურეს შემთხვევაში ერთი ან ორი წლით ისაზღვრებოდა. სინამდვილემ ეს ვარაუდი არ გაამართლა; კომუნისტური ხელისუფლება დღესაც კრემლშია მოკალათებული და დესპოტიურათ განაგებს ას სამოც მილიონიან მოსახლეობის ბედს.

დიდი შეცდომა იქნებოდა ამ გარემოების ახსნა მარტო ბოლშევიკური საშინელი ტერორით და ჩეკა-გეპეუს გამჭრიახობით. კომუნისტური ხელისუფლების ასე გახანგრძლივების მიზეზები სამწუხაროთ ბევრია, მაგრამ მათ შორის მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კი ერთია. ეს არის საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ ხალხთა ანტიკომუნისტურ მებრძოლ ძალების დაქსაქსულობა. კომუნისტური ხელისუფლება ყველა ამ ხალხების შეურიგებელი და განუკითხავი მტერია. მისი ბოროტი საქმიანობის შედეგია 160 მილიონი მცხოვრების უუფლებო, უსიტყვო და უენო მონებათ გადაქცევა; კავშირის მთელ ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის სრული განადგურება და ხალხის საარაკო გაღატაკება; ყველა კულტურულ ძალების ეჭვის ქვეშ დაყენება და გეპეუს სასაკლაოს მასალათ გადაქცევა; ქრონიკულ სიმშილობისა და კაციჭამიობის ჩვეულებრივ მოვლენათ გახდომა და დასასრულ, როგორც ამას 30 ივნისის «კომს. პრავდა» გვაუწყებს, ცხენისა და ხარ-კამეჩის ნაცვლათ გუთანში სტუდენტების შებმა და სახნავათ გაყვანა,—აი ორიოდე სიტყვით აწერილი მკრთალი სურათი დღევანდელ საბჭოთა კავშირისა.

საკმარისია ასე გაგრძელდეს კიდევ ორიოდ წელი, რომ მთელი საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელი ტერიტორია მისი სანახევროთ ფიზიკურათ გადაშენებულ და გაველურებულ მოსახლეობით გადაიქცეს იმპერიალისტურ ქვეყნების კოლონიათ და საკოლონიზაციო მხარეთ. ცხადია, რომ კომუნისტური ხელისუფლება, შეგნებულათ არის თუ შეუგნებლათ, სწორეთ იმას აკეთებს, რაზედაც აშკარათ თუ ფარულათ ოცნებობენ ზოგიერთ ქვეყნების იმპერიალისტური წრეები.

მეტად საეჭვოა, რომ როდესმე რომელიმე ქვეყანას ამ ზომამდე ბოროტი და სასტიკი მთავრობა დგომოდეს სათავეში. საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს გარეშე მტერი იმის მეასედსაც კი ვერას უზამდა, რაც მისმა დღევანდელმა ხელისუფლებამ უქნა. ეს ყველას კარგად გვესმის, მაგრამ ის კი დღემდე ვერ შეგვიგნია, რომ ამ განუკითხავ საერთო მტრის წინააღმდეგ საჭიროა საერთო ფრონტის გაშლა. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის არ არსებობს ერთსულოვნება და ურთი ერთის გაგება. თითეული ცალკე ერი თავის საკუთარ წვენში იხრაკება, განმარტოებულათ აწარმოებს ბრძოლას, ხშირათ უგეგმოს და საერთო ხელმძღვანელობას მოკლებულს. ასეთი კუთხური სეპარატიული გამოსვლები, რომელთაც ხელისუფლება შედარებით ადვილათ უსწორდება, თითქმის ყოველთვის საბედისწერო შედეგებით თავდება: ათასობით დახვრეტილნი, ათი ათასობით გეპეუს ჯოჯოხეთურ სარდაფებში გამომწყვდეულნი და შორეულ ქვეყნებში გადასახლებულნი, იძულებითი მონურ სამუშაოზე და საკონცენტრაციო სასაკლაოებზე გარეკილნი, აი მოკლეთ ასეთი გამოსვლების ფინალი.

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. პირველად ყოვლისა საბჭოთა კავშირში შემავალი ჩაგრული ერები უნდა გაერთიანდენ ერთ ანტიკომუნისტურ ლიგაში. საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ღონისძიება უნდა იქნეს მიმართული, საერთო ბრძოლას საერთო ხელმძღვანელობა უნდა ჩაუდგეს სათავეში. არა კუთხური აჯანყებები და ავანტიურული გამოსვლები, არამედ ძლიერი მასიური მოძრაობის გამოწვევა მთელი საბჭოთა კავშირის მაშტაბით.

თუ ჩვენი დაქსაქსულობა დღემდე ხსნა იყო კომუნისტურ ხელისუფლებისათვის, ჩვენი, ე. ი. საბჭოთა კავშირში შემავალ ჩაგრულ ერების, ანტიკომუნისტური ლიგის შექნა და ყველა მათი სასიცოცხლო მებრძოლ ძალების ერთი გეგმითა და ერთი ძლიერი ნებისყოფით ამოქმედება იქნება მტრის გულის გამგმირავი ლახვარი.

კომუნისტური ხელისუფლებისაგან თავის დახსნის გარდა სხვა საერთო ინტერესებიც ბევრი აქვთ ამ ერებს. უკანასკნელთა პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების მთელი რიგი ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვული. ამ ინტერესების წინასწარი მოთანხმება და საერთო საკითხების მორიგებით გადაჭრა ერთი მთავარი ამოცანათაგანია. მოუგვარებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი ისეთი საკითხი, რომელსაც შეუძლია კომუნისტური ხელისუფლების დაცემის მეორე დღესვე ერთი მეორეს დაუპირდაპიროს მეზობელი ერები. ამ თავითვე უნდა იქნეს მიღებული ყოველივე ზომები ისეთი კონფლიქტების ასაცილებლათ, რომელთაც შეუძლიათ ახალი უბედურება დაატეხოს თავს უამისოთაც განაწამებ ხალხებს. ამ

ხალხების მომავალი უნდა აშენდეს არა რომელიმე ერთი ერის მეორეზე გაბატონების ნიადაგზე, არამედ ყველა ერების მეზობლურ და მეგობრულ თანამშრომლობის საფუძველზე. ყველა ერის სამხვთო უფლება შეადგენს თვითონ იყოს თავის ბედის განმკარგულებელი, თვითონ სჯიდეს და წყვეტდეს თუ რა ჯობია მისთვის, მაგრამ არც ერთ მათგანს უფლება არა აქვს თავის ბედნიერება თავის მეზობლის უბედურებაზე ააგოს.

ყველა ამ წინასწარ ზომების მიღება და ყველა საერთო საკითხების სათანადოთ მოგვარება შეუძლებელია გარეშე იმ საერთო ორგანოსა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საბჭოთა კავშირში შემავალ ჩაგრულ ხალხების ლიგას.

ჩვენ არა ვართ ილიუზიების ტყვე და კარგათ გვესმის თუ რა სიძნელეს წარმოადგენს ასეთი ლიგის შექმნა, მაგრამ ისიც უნდა შევიგნოთ, რომ უმისოთ ჩვენი ხალხების ბედი ბეწვის ხიდზეა ჩამოკიდებული. უნდა გამოინახოს საერთო ენა ყოველ მიზეზს გარეშე და ყველა სიძნელეთა უყოყმანოთ დაძლევით.

ჩვენ გვჯერა, რომ თავის გადარჩენის ინსტინქტი საკმაოთ ძლიერია საბჭოთა კავშირში მოქცეულ ჩაგრულ ერებში. ეს ინსტიქტი მათ დაჟინებით უკარნახებს საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ფრონტი აღმართოს, საერთო ინტერესები მოაგვაროს საერთო ძალღონით და ურთიერთ შორის მეგობრული შეთანხმებით.

ამაში დაინტერესებული უნდა იყვეს აგრეთვე რუსის ერიც, რომლისთვის არავითარ შემთხვევაში არ იქნება ხელსაყრელი და სასარგებლო, რომ მის ირგვლივ შემორტყმულნი იყვნენ უკმაყოფილო და მოწინააღმდეგე ერები. ყველა ხალხის მიდრეკილება იქონიოს მშვიდობიანი ურთიერთობა და მეზობლური დამოკიდებულება მის ახლო თუ მოშორებით მობინადრე ერებთან. ამიტომ ნაგულისხმევ ლიგაში რუსის ხალხის შემოსვლა საერთო საქმეების ერთად მოთანხმებით მოსაგვარებლათ ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე იქნება მეტად სასურველი და საქმისათვის დიდათ სასარგებლო.

ბ. არიძე.

◆

მუშათა სინდიკალიზმი

მუშათა პროფ. ორგანიზაციების ხასიათი ისაზღვრება თითეულ ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური პირობებით. ომის წინ გამეფებული აზრი მათი აპოლიტიკურ ორგანიზაციებათ აღიარების შესახებ თანდათან ქრება. სინამდვილეში ისინი ჩაბმული არიან ყოველ დღიურ პოლიტიკურ ჭირ-ვარამში. პოლიტიკური რეჟიმის სახეობა სწყვეტს მის მიმართულებას, თავისუფალ არსებობის ბედს, ნორმალურ განვითარებას. მართველობის დემოკრატიული ფორმა—ამ თავისუფლების საუკეთესო გარანტიაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის გადაიქცევა სახელმწიფო იარაღად, ბიუროკრატიულ დაწესებულებათ. ამის საუკეთესო მაგალითებია რუსეთი და იტალია. კომუნისტურმა დიქტატურამ ის გადააქცია თავის ხელქვეით ორგანოებათ, წაართვა ხმის ამოღების უფლება. ბუნებრივია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში სადაც პოლიტიკურ უფლებებით სარგებლობს მუშათა კლასი,—ის დარაზმულია სინდიკატებში და უდიდესი ყურადღებით, ინტერესით ეპყრობა თავის ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულებათა არჩევას, მის საქმიანობას.

სინდიკალიზმის დანიშნულებას და მიზანს, რომლის ნიადაგზე ის წარმოიშვა და განვითარდა, შეადგენს მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და პროფ-ულ ინტერესების დაცვა, ის როგორც შრომის ორგანიზაცია—საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი მოძრავი, მომქმედი კატეგორიაა, სადაც ვითარდება ინდივიდუალური შემოქმედება, საზოგადოებრივი შეგნება-მოვალეობა.

ომის შემდეგ სინდიკალიზმის თეორეტიკოსებმა უდიდესი ყურადღება მიაქციეს მის სწრაფ გაძლიერებას და გაიყვეს მისი როლის შეფასებაში. ერთნი იცავენ და ამტკიცებენ კლასთა თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც საფუძვლათ უნდა დაედვას მის მიმართულებას და სამოქმედო გეზს. მეორენი აღიარებენ კლასთა ბრძოლის პრინციპებს და რევოლიუციონური მეთოდების გამოყენებას. კომუნისტური პარტია მოითხოვს მისდამი დამორჩილებას, ეს კი სპობს როგორც ზევით ვსთქვით ყოველგვარ შინაგან ინიციატივას, თვითმოქმედების შესაძლებლობას, სპობს პიროვნებას... უკანასკნელი ახალი აბსოლიუტიზმია, ფარდა ახდილი, ახალი არისტოკრატიაა თავის იერარქიული წყობით. მაღლიდან რომ ქვევით თავის ნებასურვილებს ახვევს თავზე. ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ამ შეხედულებას აფართოებენ და ავრცელებენ თავისუფალ მებრძოლ კავშირებზე მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელნი უფრო მეტის ენერგიით უარყოფენ ზემო-ხსენებულ დამორჩილების პრინციპს და კომუნისტურ პარტიის მეთოდს—პროფ. ორგანიზაციის მუშაობაში კატეგორიულათ ემიჯნებიან. ამავე თეორეტიკოსების აზრით რევოლიუციონურ-რეფორმისტული სინდიკატები შეიძლება სხვა გზით მაგრამ მაინც ატარებენ ე. წ. სინდიკალისტურ დიქტატურის პრინციპს, პიროვნების თავისუფლებას რომ აგრე საშიშროებას უქადის. ეს სრულიად უსაფუძვლო ბრალდება ქარწყლდება მუშათა სინდიკატების ორგანიზაციული წყობის პირველ გაცნობისთანავე, სადაც უაღრესათ გატარებულია დემოკრატიული პრინციპი თავისუფალი აზრის ფართე ასპარეზი, უმცირესობის პატივისცემა და სხ. რა თქმა უნდა ჯგუფის აღმშენებლობითი მუშაობა არ შეიძლება დაეყრდნოს მარტო ინდივიდუალურ ინიციატივას, დაჯგუფება უნდა ჩავთვალოთ, როგორც საშვალება, რომლის განვითარების შედეგი—პიროვნების განთავისუფლებაა. საზოგადოების ნაწილის დაჯგუფება არ შეადგენს პიროვნების დაჩრდილვას, უკანასკნელი პირიქით სარგებლობს მისით და ცდილობს გამარჯვებული გამოვიდეს არსებული ვითარებიდან. სინდიკალიზმი ამორფიულ პიროვნებათა უდიდესი ორგანიზაციაა, იურიდიულათ გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული ფორმაციით, გამსჭვალული პრო-ლი და სოციალური ინტერესებით. ის ხელს უწყობს საზოგადოების დიდი ნაწილის განვითარებას, მის მორალურ აღზრდას; ურთიერთ შორის სულიერი კავშირის გაბმას და უმზადებს მომავალ საზოგადოებას გაწრთვნილ მოქალაქეთ.

მუშათა სინდიკალიზმის ბუნებრივი პრეტენზიები სამრეწველო და შრომის უფლებათა სფეროში განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის რეალური შესაძლებლობის ფარგლებით, მისი გეზი შეფარდებულია ნაციონალურ მრეწველობის ვითარებასთან. დემოკრატიული ქვეყნების სინდიკალური მოძრაობა—ამ წონასწორობის პოლიტიკის გატარებით ქმნის საზოგადოებრივ და ეკონომიურ ორგანოების თანდათანობით დაპყრობას. კომუნისტების გაგებით ეს მუშათა ღალატია, ერთის დაკვრით რომ სამოთხის დამყარებას ელტვიან...

კაპიტალისტური რეჟიმის ვექილების აზრით ის მეორე მთავრობაა, პერმანენტული რევოლიუციაა, სახელმწიფოს უდიდესი ფაქტორის—შრომის დაპატრონებით რომ სურს თავის გეზით წარმართოს ან გარიყოს სახელმწიფო. ამ შეხედულებას ქმნის ის გარემოება, რომ გარეგნულათ, პროფ. ჯგუფი—მართლაც ამყარებს დისციპლინას, ასამართლებს, სჯის, განაგებს, კანონმდებლობს თავის წრეში და ასე მუშები, დიდ ფედერაციებში გაერთიანებულნი, უფრო მეტს მორალურ სიძლიერეს აძლევენ თავის კოლექტიურ უფლებებს.

სინდიკალისტური (უტოპიური) შეხედულებანი უკვე დაიმსხვრა ცხოვრების პრაქტიკულ გზაზე. დღეს მას მხოლოდ რამოდენიმე თეორეტიკოსები შერჩენ. ანტიდემოკრატიზმი, ანტიპატრიოტიზმი საბოტაჟი, ბოიკოტი, პირდაპირი მოქმედება, საერთო გაფიცვა. აი კლასთა ბრძოლის საშუალებანი, რომელსაც ისინი ქადაგებენ. სოციალისტური პარტიის ბრძოლა მათის აზრით უსუსურია, მას შეუძლია მხოლოდ მუშათა მოთხოვნილებანი გაატაროს უმრავლესობაში ყოფნის დროს. ის შესდგება სხვა და სხვა წრიდან და ასეთ შემადგენლობას ზიანი მოაქვს მუშათა მოძრაობისთვის. პარტიის მიზანია—ხელისუფლება, სინდიკატების კი—ავტონომია ხელისუფლებასაგან. ეს დებულებანი დღეს უკუგდებულია თავისუფალ მებრძოლ კავშირების მიერ და პრაქტიკულ მუშაობის ასპარეზზე ისინი ჰარმონიულად შეთანხმებულნი გამოდიან სოციალისტურ პარტიებთან, როგორც თავის პოლიტიკურ დამცველებთან...

შრომის თავისუფლებისთვის ბრძოლა მოითხოვს საზოგადოებაში არსებულ სხვა დაბეჩავებულ სოციალურ კატეგორიების თავის მოყრას და მუშათა კლასის გავლენის ქვეშ დაყენებას.

უტოპიური სინდიკალიზმი რიცხავს ასეთ ძალთა კოორდინაციას. მუშათა სინდიკალიზმი არ არის დოქტრინა—ის მხოლოდ მოძრაობაა. მას მარტო არ ძალუძს შრომის ექსპლოატაციის მოსპობა და კაპიტალისტური რეჟიმის გარდაქმნა. ის მხოლოდ ერთი დიდი რგოლია მუშათა განმანთავისუფლებელ მოძრაობის ბორბალში, გადაკავშირებულია იმ პოლიტიკურ ძალთა ჭიდილთან, რომლის მუდმივი მისწრაფება საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნაა.

მუშათა კავშირებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მას ძალუძს აგრეთვე ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი, შრომის ნორმალური ორგანიზაციის მოწყობით, ერის ეკონომიური მიმართების, მისი განვითარების საქმეში.

—

გერმანიის თავისუფალ პროფ. კავშირების მოქმედებამ გამოიწვია სამართლიანი გულისწყრომა ყველა ქვეყნის სოციალისტურ და სინდიკალურ პრესაში. მათ სწორათ ვერ შეაფასეს და წარმოიდგინეს ჰიტლერის შავი ბოლშევიზმი.—აირჩიეს გზა თავშეფარების და შეგუების დიქტატურის კალთების ქვეშ. ამ პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირება და თანამშრომლობა მოსპობას უქადდა კავშირებს, და აკი მეორე დღესვე მათი ხელმძღვანელები ციხეში ჩაყარეს, მათ ადგილებზე ზევიდან ახალი პირები დაუნიშნეს. ახალი რეჟიმის სწორი შეფასება, მისგან გამომდინარე შედეგების გათვალისწინება, პოლიტიკურ უფლებათა მოთხოვნილებით გამოსვლა,—შეუნარჩუნებდა მუშათა სინდიკალიზმს თავის კლასიურ ბრძოლის სულსა და ხასიათს, თანდათანობით გამოიყვანდა ილიუზიების ტყვეობიდან და დარაზმავდა ფაშიზმის წინააღმდეგ.

ამის მაგივრათ კი მუშათა სინდიკალიზმი გაეხვია მოწოლილ ბურუსში, თავისი სწორი [illegible] გზის მოძებნის მაგიერ დაემორჩილა ბნელ ძალას, რომელიც მას სახელმწიფოს ყურმოჭრილ მონათ გადააქცევს...

პ. სარჯველაძე.

◆

ბერლინის ამბავი

გერმანიაში შეიკრიბენ ქართველი ემიგრანტები და გამართეს თათბირი იმაზე თუ საქართველოს რა უშველისო. ეს ნათათბირევი დარჩებოდა საიდუმლოების ან ჭორების ამარა, რომ ვიღაც ვასილი არ დაგვხმარებოდა და ბერლინის გაზეთის ფურცლებზე დიდის ზეიმით და ტრაბახით ის არ გამოეტანა («იუნგ დოიჩე», 24 ივნისი). აი რა ამბებს მოგვითხრობენ აქ.

კრების თავმჯდომარეთ «ერთხმათ» აირჩიეს შალვა ქარუმიძე, რომელსაც პირველი სიტყვა მოხსენებისათვის მიუცია ვლად. ახმეტელისათვის. «მან მკაცრ კრიტიკაში გაატარა უსვინდისო და უპასუხისმგებლო მოქმედება ემიგრაციის მეთაურის სოციალდემოკრატიული მთავრობისა პარიზში, უარყო მასან მუშაობა ამიერიდან და მოითხოვა ახალი ზე-პარტიული ხელმძღვანელი ორგანოს არჩევა წმინდა ნაციონალურ ბაზაზე». შემდეგ ულაპარაკია გრ. დიასამიძეს მენშევიკების «მოღალატურ და ხალხის სამტრო მოქმედებაზე», ხოლო ირემაშვილს, «რომელიც სოციალდემოკრატიიდან გასულა», დიასამიძე გაუგრძელებია და როგორც რენეგატის ბუნებაა მთელი თავისი ღვარძლი ჩვენზე გადმოუნთხევია. მასაც რასაკვირელია მოუთხოვია მენშევიზმის «საფუძვლიანათ აღმოფხვრა და ემიგრაციის ახალ საფუძველზე აგება».

შემდეგ ულაპარაკია ტ. მარგველაშვილს, მიხ. წერეთელს, დ. სალირაშვილს, დ. ლამბაშიძეს, ნ. ნაკაშიძეს და სხვებს; რა თქვეს არა სჩანს, მაგრამ ხეირს არ დაგვაყრიდენ—ცხადია. ბოლოს მიუღიათ რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ «ძველი მენშევიკურ-მარქსისტული მეთაურობა დაგმობილია და გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას მთელი ემიგრაციის კონფერენცია ახალი პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელათ». მომწვევ კომისიაში აურჩევიათ არ. მეტრეველი, დ. ლამბაშიძე და კ. ვეკუა, ახმეტელი წარმომადგენელათ გერმანიის მთავრობასან, ხოლო ადგილობრივ კომიტეტში წერეთელი, მარგველაშვილი და ალ. აბხაზი.

ასეთია მოკლეთ, გამოქვეყნებული ანგარიში. აქ აკლია ბევრი რამ, რამდენი კაცი დაესწრო კრებას, რამდენმა მისცა ხმა აღნიშნულ რეზოლიუციას და სხ. აი ამ ცნობების მოცემა აღარ იყო მათთვის ხელსაყრელი, ვინაიდან გამოჩნდებოდა, რომ კრებას არ დასწრებია ს.-დ. ორგანიზაციის წევრები, დამსწრეთა ნახევარს, როგორც გავიგეთ (15-მდე კაცს) თავი შეუკავებია, ბოლოსდაბოლოს ქარუმიძე-დიასამიძის ლაშქარი თუთხმეტამდე ჩამოქვეითებულა და სხვა ასეთი «სამალავი ადგილების» გამომჟღავნება აღარ დარჩა სასარგებლო.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ახლა ვიცით ვინ და რა მიზნით არღვევენ საქართველოს ნაც. მთავრობას და მის მუშაობას და აქვეითებენ ჩვენს საქმეს საქართველოს დამოუკიდებლობის წინამდგომარეობამდე, როცა არც თავისუფალი საქართველო იყო, არც მისი პოლიტიკური და იურიდიული ორგანოები, არც რაიმე მისი ნაციონალური არსებობის ატრიბუტები. ემიგრანტთა კომიტეტის და ლუდხანებში შეხანხლულ ორგანიზაციების საპატრონოთ საქართველო არ დავარდნილა და არც დავარდება არასოდეს. დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი ცენტრის ალა-

ეტატიზმი

(დასასრული)

ძველი სოციალიზმი აღიარებდა: პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას პროლეტარიატის მიერ და მისი საშუალებით სოციალური საკუთრების გაბატონებას.

ახალი სოციალიზმი აღიარებს: სოციალური საკუთრების გაბატონებას და შემდეგ მისი საშუალებით პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას.

მაგრამ გამოჩნდა ამ მეორე ხაზზე დაბრკოლება, სოციალური საკუთრება ეტატიზმის ფორმით ვითარდება, მაგრამ ძალაუფლება ხელში უვარდება რეაქციას. აქედან დაიბადა ახალი პრობლემა.

ემილ ვანდერველდე სწერს:

«არ იქნება მოულოდნელი თუ ვიტყვი, რომ დღეს სოციალიზმის დიდი პრობლემაა არა იმდენათ პრობლემა საკუთრების, რამდენათ თავისუფლების; პროგრესი ტეხნიკის და რაციონალიზაციის თავისთავათ მივყევართ კოლექტივიზმის ამა თუ იმ ფორმისაკენ; ხოლო თავისუფლების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა ინდივიდუალური და კოლექტიური ძალღონით» *).

ეგევე აზრი ოტო ბაუერმა ასე გამოთქვა ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ნოემბრის ყრილობაზე:

«უნდა გავიგოთ რომ დღეს და აქ გადასაჭრელია დავა არა კაპიტალიზმს და სოციალიზმს შორის, არამედ სულ სხვა ჩვენს წინაშე წარმომდგარი საკითხი; გარშემორტყმული ყველა მხრიდან ფაშიზმით, პროლეტარიატის უპირველესი საგანია შევინარჩუნოთ ეს ჩვენი კუნძული დემოკრატიული თავისუფლებისა» **).

ორივე ლიდერი ახალი სოციალიზმისა ამბობენ ერთ და იმავეს: დღის წესრიგში დგას არა სოციალური, არამედ პოლიტიკური საკითხი, სოციალური საკუთრება ვითარდება, დესპოტიზმი ძლიერდება. აქედან პრობლემა: შევინარჩუნოთ პირველი, დავარღვიოთ მეორე. მაგრამ ამ საკითხის გადასაჭრელათ საჭიროა გადავსჭრათ მეორე საკითხი: ამ ორ მოვლენას შორის არსებობს აუცილებელი თუ შემთხვევითი კავშირი. ე. ი. ეტატიზმის და ბურჟუაზიული კოლექტივიზმის ბუნებისაგან, მისი შინაგანი ურთიერთობისაგან გამომდინარეობს დესპოტიური პოლიტიკური ფორმა თუ ეს უკანასკნელი მისი კანონიერი შვილი არ არის, გარედან მიწებებული ფენომენია.

ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ ყველა ეტატიზმი, ყველა დაგეგმილი ეკონომიკა, აგებული ადამიანის ექსპლუატაციაზე, იღებს დესპოტიურ პოლიტიკურ ფორმას. რატომ? ცხადია რატომ, რაკი ეკონომიური რეჟიმი სავსებით დამყარებულია სუსტი კლასების ჩაგვრაზე, შრომის გაყვლეფაზე, მისგან რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულების ამოღებაზე, ცხადია საჭიროა ამათი დამორჩილება, იძულებით ასეთი ოპერაციების მის ზურგზე ჩასატარებლათ. როგორც კი ხელისუფლება იწყებს ამ ეკონომიურ ოპერაციებს, ის იშველიებს მის აპარატებს, მის აღმასრულებელ და გამკარგულებელ ძალას უკმაყოფილო ხალხის მორჩილებაში ჩასაჭედათ. გეგმიანი ეკონომიკა ნიშნავს გეგმიან ექსპლუატაციას, გეგმიანი ექსპლუატაცია კი დესპოტიას.

აი ამ საქვეყნო ისტორიულ მოვლენას პირველათ ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიამ და დაამყარა შრომის ექსპლუატაცია ანარქიულ ეკონომიკაში და მის შესაფერ პოლიტიკურ, ლიბერალურ, ფორმებში. ე. ი. მან უარყო სავსებით გეგმიანი ეკონომიკა საზოგადოებაში, მაშასადამე უარყო შრომის ექსპლუატაციის პოლიცივური ფორმა და ეს ჩააყენა ეკონომიურ ფორმებში. რატომ მოიმოქმედა ეს მან? თავისუფლების სიყვარულით? რასაკვირელია არა; თავისუფლება აქ არის შედეგი, აუცილებელი, გარდაუვალი გამოხატულება კაპიტალისტური წარმოების და ურთიერთობის. ამ ეკონომიური რეჟიმის ძირითადი საფუძველია თავისუფალი კონკურენცია, ეკონომიური მეტოქეობა, ხოლო ეს კი გულისხმობს შესაძლებლობას მეტოქეობისას, საკმაოთ თავისუფალ კალაპოტს ამ მოვლენის ასამუშავებლათ და გასაფართოვებლათ. კონკურენცია—ეს თავისუფლებაა. კონკურენციის საშუალებით ხდება შესაძლებელი საქონლის ღირებულების განსაზღვრა, მაშასადამე მისი ფასების დადგენა და ბაზარზე გატანა. როცა წარმოების მიზანია არა გასაყიდი ნივთის, საქონლის დამზადება, არამედ მისი შინ მოხმარა, საჭიროც არ არის მისი ღირებულების დაფასების განსაზღვრა, კონკურენცია მეტი ბარგია; აქ შეიძლება შრომა იყოს პატრიაქალური, მონური, ბატონ-ყმური თუ პოლიციური ფორმების, შრომის ექსპლუატაცია არ ხდება კონკურენციის საშუალებით.

ამნაირათ, კაპიტალისტურ წარმოებაში თავისუფლების შენახვა შეიძლება მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის შენახვით.

ეტატიზმი, მონოპოლიები, ტრესტები—ყველა ეს ნიშნავს თავისუფალი კონკურენციის მოსპობას, დაგეგმილი ეკონომიკის შემოღებას სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით. ვინაიდან მთელი ეს პროცესი წარმოებს კაპიტალიზმის ნიადაგზე, საქონლის დამზადების, ყიდვის და გაყიდვის მიზნით, ე. ი. მისი მიზანია არა ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ მოგება, ზედმეტი ღირებულება, შრომის ექსპლოატაცია, რა გზით უნდა მოხდეს მთელი ეს პროცესი თუ კი კონკურენცია, ეს უმაღლესი რეგულიატორი ღირებულების და ბაზრის დაბმული ან სავსებით გაუქმებულია? არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება, რაც სახელმწიფო მასშტაბში განხორციელებულია საბჭოთა ეკონომიკაში—ეს საშუალებაა ძალაუფლება, მონოპოლისაგან წარმომდგარი. მოხელე ანგარიშობს რა დაეხარჯა საქონლის დამზადებაზე, რამდენი მოგება მას ეჭირვება და ამის დაგვარათადებს ფასებს. შეიძლება ეს ფასები სრულიად არ ხატავს საქონლის ღირებულებას, არც ბაზრის მოთხოვნილებას, არც რაიმე ეკონომიურ კანონებს, ის არის შედეგი ბრძანების, და არა საწარმოვო ურთიერთობის.

მარქსი სწერს:

«საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ ღირებულებას საზღვრავს არა ის დრო, რომლის განმავლობაში ნივთი კეთდება, არამედ ის უმცირესი დრო, რომელიც საჭიროა მისი გაკეთებისათვის. ხოლო ეს მინიმუმი ცხადდება კონკურენციით. წარმოიდგინეთ ერთ წუთს, რომ კონკურენცია არ არის, მაშასადამე არ არის ის საშუალება, რომლითაც ვტყობილობთ შრომის მინიმუმს დასამუშავებლათ აუცილებელს. რა მოხდება მაშინ? ამ შემთხვევაში საკმარისია დავხარჯოთ ექვსი საათი ნივთის დასამზადებლათ, რომ პრუდონის თეორიით, უფლება გქონდეს მოითხოვოთ ექვსჯერ მეტი სამაგიერო, ვინემ ის ვინც ამავე ნივთის დასამზადებლათ დახარჯა ერთი საათი» *).

რაკი მონოპოლიებში, განვითარებულ ეტატიზმში, როგორც დღეს მაგ. რუსეთშია მთელი ეს პროცესი შებრუნებულია, რაკი კონკურენცია არ არის, რანაირათ შეუძლიათ გაიგონ საქონლის დამზადების აუცილებელი დროის რაოდენობა? შეიძლება ერთი არშინი ჩითი ითხოვს ერთ საათს, შეიძლება ნახევარს, ვინ იცის; დირექცია ემყარება მხოლოდ თავის ბუხჰალტერიულ ანგარიშებს და ამის თანახმათ აწესებს ფასებს. საბოლაოთ ეკონომიური კანონების ალაგს იჭერს პოლიციური კანონები. აი ამით აიხსნება საბჭოთა საქონლის საარაკო სიმდარე, სიძვირე და ნაკლულევანება. ერთი სიტყვით კაპიტალისტური წარმოება მოკლებული მის შინაგან ბუნებას—თავისუფალ კონკურენციას ხდება ეკონომიურათ ერის ტვირთათ, ხოლო პოლიტიკურათ ტირანიის საფუძვლათ.

დღევანდელი საზოგადოება იტანჯება არა მარტო კაპიტალისტური რეჟიმისაგან წარმომდგარი კრიზისით, არამედ ამასთანავე იმ რეფორმატორული ზომებითაც, რომლითაც ამ კრიზისს ებრძვიან. დამპალი შენობა დასარღვევია და არა შესაკეთებელი. ბურჟუაზიული საზოგადოების რეფორმებით შეკეთება მის მდგომარეობას აუარესებს, ვინაიდან მას უსპობს მის საკუთარ სასუნთქავ ასპარეზს. ლიბერალიზმი არის კაპიტალიზმის პოლიტიკური ფორმა; თუ ის მოკვდა, თუ ის მიუღებელია, რანაირათ რჩება ცოცხალი და მისაღები მისი შინაარსი, მისი ეკონომიური სარჩული. კაპიტალიზმის ცუდი მხარის შესწორება, კარგის დატოვება—ეს ძველი რომანტიული რეცეპტი ისევ აღდგა და დაბნეულ საზოგადოებას დაეპატრონა. ამ უტოპიას შესწირა მთელი თავისი ძალღონე გერმანიის სოციალდემოკრატიამ; ეს «კაპიტალიზმის მოწესრიგება სოციალისტური პრინციპით» გათავდა საშინელი კატასტროფით; პარტია ეტატიზმით მიდიოდა სოციალიზმისაკენ, ნამდვილათ კი მივიდა ფაშიზმისაკენ. აქედან დაიბადა პარტიის მორალური დარღვევა, მთელ ამ მუშაობაში დაეჭვება, მთელი ამ გზის უკუგდება; და რადგანაც სხვა გზა, სხვა ტაქტიკა პარტიის რეზერვში არ აღმოჩნდა, მისი დემორალიზაცია აუცილებელი შეიქნა.

ამნაირათ, საზოგადოება დღეს სწუხს ეტატიზმით, ე. ი. «კაპიტალიზმის შეკეთებით სოციალური პრინციპით», გეგმიანი წარმოებით, რაიცა იხატება სხვადასხვა პოლიტიკურ ფორმებში, რომელთა ლოღიკური დასკვნაა ფაშიზმი და ბოლშევიზმი, საზოგადოთ ხმალის გაბატონება საზოგადოებაზე. ამ დასკვნისაკენ სწრაფი ნაბიჯით მიექანება ბურჟუაზიული დემოკრატია. თავისუფლების დამაგრება კი მოითხოვს მთელი ამ პროცესის შებრუნებას, ეტატიზმის ძირშივე მოჭრას, სახელმწიფოს ბატონობის დასუსტებას, მისთვის საზოგადოების დასაჩაგრავი იარაღების წართმევას. «თავისუფლება ნიშნავს, სწერდა მარქსი, სახელმწიფოს გადაქცევას საზოგადოებაზე გაბატონებულ ორგანოდან, მის დამორჩილებულ ორგანოთ» *). ახლა კი მისი სახელით სახელმწიფოს

---

*) L'Alterntive, გვ. 142.

**) Vorwaerts. 15 ნოემბერი, 1932 წ.

*) იხ. მარქსის «ფილოსოფიის სიღატაკე».

*) იხ. მისი კრიტიკა გოტის პროგრამის.

გას ვექუა ლამბაშიძის მიერ შექმნილი ცენტრი საკუთრათ მიირთვან რენეგატებმა, ყალბ ჩერვონცელებმა და მათმა ამქარმა. ამათ მიერ თავისი რაზმის მობილიზაცია ახმეტელის მეთაურობით ქართველი სოციალდემოკრატიის და მასან მოკავშირე პარტიების წინააღმდეგ არა არის რა გარდა სამოქალაქო ომის ქადაგებისა ჩვენში, სადაც თურმე უნდა «ძირიანათ ამოვარდეს» დემოკრატია, ხოლო არსებული ჩეკა, ხვრეტა და წამება გაგრძელდეს ფაშიზმის დროშით. მაშინ დამყარდება თურმე ერის «ზე-პარტიული გამგეობა»!

ახმეტელმა პირბადე აიხადა, ყველა შავი და ავანტიურისტული ძალები გამომჟღავნდენ, პროგრამმა ბოძებულია. პროგრამა შინაგანი ბრძოლის, განხეთქილების, არევ დარევის და მოსკოვის საქმის კეთების.

გერმანელ ნაციონალ-სოციალისტების პროგრამა

ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველს გერმანელ ნაციონალ-სოციალისტების (ჰიტლერი) პროგრამის მთავარი პუნქტები, რისთვისაც ვსარგებლობთ რეიხსტაგის დეპუტატის, გოტფრიდ ფედერის წიგნით: «გერმანიის ნაც.-სოც. მუშათა პარტიის პროგრამა», რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ასიათასობით იბეჭდებოდა და იცემოდა. ხოლო ფედერის კომენტარიებს რასისტთა პროგრამის მუხლებისას თვით ა. ჰიტლერმა «ჩვენი მოძრაობის კატეხიზისი» უწოდა:

რასისტთა პროგრამა მოკლეა, 25 პუნქტისაგან შემდგარი. ის მიღებულ იქნა მიუნხენში, 1920 წლის თებერვალში, ხოლო მას შემდეგ მრავალჯერ იქნა დადგენილი ნაციონალ-სოციალისტთა კონგრესებზე, რომ «ეს პროგრამა უცვლელია»; ეს 25 პუნქტი ეწერა მებრძოლ რასისტთა დროშას და მათი ნიშნის ქვეშ სწარმოებს გამარჯვებულ ჰიტლერის და მისი ამალის სახელმწიფო მოღვაწეობა.

ამ პროგრამის მთავარი მუხლები შეიძლება სამ წყობათ დავყოთ.

მოთხოვნილებების პირველ კატეგორიას მიზნათ აქვს შეუქმნას რასისტების «მესამე რაიხს» (იმპერიას) ნაციონალისტურ-შოვინისტური საფუძველი.

აი ეს მუხლები:

«მუხ. 1. ჩვენ მოვითხოვთ ყველა გერმანელთა გაერთიანებას დიდ-გერმანიაში, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე.

«მუხ. 4. სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერის წევრი (Volks-genosse). ერის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ვინც გერმანელი სისხლისაა, განურჩევლად სარწმუნოებისა. ამიტომ ურია არ შეიძლება ერის წევრი იყოს.

«მუხ. 5. ვინც სახელმწიფოს მოქალაქე არაა, მას შეეძლება მხოლოდ სტუმრად იცხოვროს გერმანიაში და დაყენებული უნდა იქნეს უცხოელთა შესახებ მიღებულ კანონმდებლობის ფარგლებში.

«მუხ. 6. სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და კანონების დაწესების უფლება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მოქალაქეს. ამიტომ მოვითხოვთ, რომ ყოველივე საჯარო თანამდებობა, რა ხარისხისაც არ უნდა იყოს, იმპერიაში, ცალკე სახელმწიფოში (Land) თუ თემში, დაჭერილი იყოს მხოლოდ მოქალაქის მიერ...

«მუხ. 7. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე ვალდებულობა იზრუნოს პირველყოვლისა სახელმწიფო მოქალაქეთა სამუშაოსა და არსებობისათვის. თუ შეუძლებელი გახდა სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის კვება, უცხო ერთა წევრნი (არა-მოქალაქენი) გაძევებულ უნდა იქნან იმპერიიდან.»...

მოყვანილ მუხლთა ნამდვილი აზრის გასაგებათ საჭიროა გავეცნოთ ზოგიერთ განმარტებებს, მოთავსებულს ზემო აღნიშნულ წიგნში.

ასე მაგალითად, პირველი მუხლის განმარტება გვიხსნის:

«ყველა ვინც გერმანელი სისხლისაა, ცხოვრობს ის დღეს დანიის, პოლონეთის, იტალიის თუ საფრანგეთის უზენაესობის ქვეშ, გაერთიანებულ უნდა იქნას ერთ გერმანულ იმპერიაში» (გვ. 42).

რაც შეეხება მე-4 მუხლს, განმარტებაში ვკითხულობთ: «ის ხალხი, რომელიც თუნდაც გერმანელებათ დაბადებულან, მაგრამ შეგნებულათ ეწინააღმდეგებიან გერმანიის ხალხს, სახელმწიფოს, უცხოეთიდან იღებენ პოლიტიკურ ბრძანებებს და მისდევენ მათ,—გერმანელთა საერთო ისტორიულ მთლიანობას არ ეკუთვნიან და მაშასადამე არ შეუძლიათ სარგებლობდენ მოქალაქეობრივი უფლებებით...»

და მეორე ალაგას: «გერმანიის იმპერია გერმანელთა სამშობლოა და არა ურიების, რუსების (კომუნისტების), სოციალდემოკრატების, რომელნიც სამშობლოს არ სცნობენ...»

ამგვარად, «ახალი რაიხის» (იმპერიის) სახელმწიფოებრიობა აშენებულია არა მარტო რასიულად არაგერმანელების ერის წიაღიდან გარიცხვაზე, არამედ ებრაელთა ბედი უნდა გაიზიარონ ყველა გერმანელებმა, ვინც რასისტულ «სამშობლოს» არ იღებს, ე. ი. ნაციონალ-სოციალისტურად არ აზროვნებს და არ გრძნობს, ისე როგორც საბჭოთა იმპერიაშიც კანონს გარეშეა დაყენებული ყველა, ვინც კომუნისტურად არ აზროვნებს და სტალინს არ მისდევს.

მეორე პრინციპი, რომელიც საფუძვლათ უდევს ჰიტლერერთა პროგრამას არის იმპერიალისტურ-მილიტარისტური:

მოთხოვნილებათა ამ კატეგორიას მიეკუთვნება უკვე მოყვანილი პირველი მუხლი, რომლის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა მისი განმარტებიდან დავინახეთ: ეს არის დაბრუნება გერმანიის იმპერიისათვის უცხო სახელმწიფოთა სუვერენობის ქვეშ დარჩენილ ყველა გერმანელების. ხოლო მეთხე მუხლი შეიცავს მოთხოვნილებას:

«ჩვენ მოვითხოვთ მიწა-წყალს (კოლონიებს) ჩვენი ხალხის გამოსაკვებათ და ჩვენი ზედმეტი მოსახლეობის დასაბინავებლათ».

ამ მუხლის შესახებ მორცხვათ სდუმს განმარტების ავტორი. რომ «დიდი გერმანიის» მოტრფიალეთ და რასიული პრინციპის თაყვანისმცემელთ ბუნებრივათ მიაჩნიათ სხვა, დაპყრობილ ერების ხარჯზე ცხოვრება, ეს გასაკვირი არ არის. მაგრამ რა გზით უნდა დაიბრუნოს გერმანიამ სხვა სახელმწიფოთა ხელში მყოფი კოლონიები, ან როგორ უნდა მოიპოვოს ახალი, თუ არ მომითა და სისხლის ღვრით?

იმპერიალისტური მიზნებისათვის საჭიროა ძლიერი ჯარი. მუხლი 22 ლაკონიურათ მოითხოვს «დაქირავებულ ჯარის მოსპობას და ხალხურ არმიის შექმნას».

აქაც საჭიროა მივმართოთ კომენტარიებს, რომ ამ «ხალხური» არმიის ნამდვილი სახე დავინახოთ. ჰიტლერის მიერ მირონცხებულ ბ-ნ ფედერის რედაქცია ამ მუხლის ასეთია: ...«შექმნა სამშობლოს დასაცავათ სახალხო არმიის, გაწვრთნილის სასტიკ კასტიურათ აღზრდილ პროფესიულ ოფიცრობის ხელმძღვანელობით».

დანარჩენ მუხლთა შორის უნდა აღვნიშნოთ მთავარი სოციალურ პოლიტიკური მოთხოვნილებები.

ეკონომიურ სფეროში პროგრამას აკრავს ორჭოფობის დაღი, გამოწვეული ჰიტლერის ჯარის ჭრელი შემადგენლობით. თავისი ამალის ბურჟუაზიული ნაწილის დასაკმაყოფილებლათ რასისტები იფიცავენ, რომ «დგანან კერძო საკუთრების ნიადაგზე», ხოლო შეუძლოთა გულის მოსაგებათ აყენებენ ასეთ ბუნდოვან მოთხოვნილებებს, როგორიცაა: მუხლი 11. «უშრომო და გაურჯელ შემოსავლის მოსპობა». ან კიდევ, მუხლი 17: «ჩვენ მოვითხოვთ ჩვენ ეროვნულ მოთხოვნილებებთან შეგუებულ მიწის რეფორმას, კანონის გამოცემას საერთო სარგებლობის მიზნებისათვის მიწის უსასყიდლოთ ჩამორთმევაზე. მიწაზე სარგებელის აღების მოსპობა და მიწით ყოველგვარ სპეკულიაციის აღკვეთა». როგორც სჩანს ამ მუხლმა მღელვარება გამოიწვია რასისტ მიწათმფლობელთა შორის; მათ დასამშვიდებლათ 1928 წ. ჰიტლერს გაუკეთებია საგანგებო განცხადება: რადგან ჩვენ «კერძო საკუთრების ნიადაგზე ვდგევართ» თავისთავად ცხადია რომ «უსასყიდლო ჩამორთმევა»-ს სახეში აქვს მხოლოდ საკანონმდებლო შესაძლებლობა, რათა ის მიწა, რომელიც უკანონოთ შეძენილი ყოფილა ან და რომლითაც არ სარგებლობენ ხალხის კეთილდღეობის მიზნების დაგვარათ, ჩამორთმეულ იქნას საჭიროებისამებრ. ამის და თანახმათ ეს, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ურიულ საზოგადოებათა წინააღმდეგ, რომელნიც მიწით სპეკულიაციას ეწევიანო».

ამგვარათ, «მთამ თაგვი შვა», რადიკალური მიწის რეფორმა სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლათ გადაიქცა.

სამაგიეროთ პროგრამას უმაღლეს წერტილამდე აჰყავს სახელმწიფოს სრული გაბატონება არა მარტო პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე ეკონომიურ სფეროში—ეტატიზმი.

აქაც ჰიტლერი ერთგული მოწაფეა ლენინ-სტალინის.

მუხლი 13: «ჩვენ მოვითხოვთ ყველა (დღემდე) უკვე განსაზოგადოებულ (ტრესტები) წარმოებათა სახელმწიფოს ხელში გადაცემას».

ბ. ფედერის განმარტებით, «სახელმწიფოს ხელში უნდა გადავიდეს (ეტატიზაცია) საიმპერიო ბანკი და საემისიო ბანკები»-ო.

და ბოლოს:

მუხლი 25: «ყველა ამის გასახორციელებლათ ჩვენ მოვითხოვთ: იმპერიაში ერთ მძლავრ ცენტრალურ ხელისუფლების შექმნას. ცენტრალურ პოლიტიკურ პარლამენტის შეუზღუდავ ძალა-გავლენას მთელს იმპერიაში და საზოგადოთ ამ უკანასკნელის ორგანიზაციებზე».

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

გერმანიის სოციალდემოკრატია.

ჩვენი გაზეთის წინანდელ ნომერში მოთავსებულ ინფორმაციიდან მკითხველმა იცის, რომ 27 აპრილს, გერმანიის სოციალდემოკრატიამ, რომელსაც იმ დროს კიდევ დიდი ილიუზიები ქონდა ლეგალურ ასპარეზზე მუშაობის შესაძლებლობისა, თავის პარტიულ კონფერენციაზე ახალი ცენტრალური კომიტეტი აირჩია.

რამოდენიმე დღის შემდეგ, 2 მაისს, ჰიტლერმა კი გერმანიის თავისუფალი პროფესიონალური კავშირები სავსებით გაანადგურა და მთელი მათი ქონება და მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო. ცხადი იყო, გერმანიის სოციალდემოკრატიასაც ასეთივე ბედი მოელოდა. სამწუხაროთ ყველამ ეს დროზე ვერ შეიგნო და კიდევ იყვნენ ისეთები, რომელნიც ფიქრობდენ, რომ ჰიტლერი მათ ერთნაირი ლეგალური არსებობის საშუალებას მისცემდა. როცა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ პარტიული ორგანიზაციების არალეგალურ საფუძველზე მოწყობა და გადაყვანა გადასწყვიტა, ცეკას უმცირესობა ამას არ დაეთანხმა და ლეგალურ ნიადაგზე დგომას დაჟინებით მოითხოვდა. უმცირესობა არ დაეთანხმა უმრავლესობას არც იმაში, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ადგილი გამოეცვალა და ის ბერლინიდან პრაღაში გადასულიყო.

მწვავე კონფლიქტი პარტიაში დაიწყო 17 მაისს, როცა რეიხსტაგის გახსნისას ფრაქციის უმრავლესობამ გადაწყვიტა სხდომას დასწრებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრალურ კომიტეტს ამის საწინააღმდეგო დადგენილება უკვე მიღებული ქონდა. რეიხსტაგის კრებას დაესწრო 50 დეპუტატი ლიობეს მეთაურობით და მათ ჰიტლერს ნდობაც გამოუცხადეს. დეპუტატების ასეთმა საქციელმა გერმანელ მუშებში აღშფოთება გამოიწვია და ცენტრალურ კომიტეტის დიდ უმრავლესობამ ეს საქციელი დაგმო და მას დეზავუაცია მოუხდინა. ფორვერტსის რედაქტორი—შტამფერი ლიობეს და მის მომხრეთა მოქმედებას ხსნიდა პრუსიის მინისტრი—გიორინგის მუქარის ზეგავლენით და დეპუტატების დაშინებით. ლიობე კი შტამფერის ასეთი ახსნის წინააღმდეგ 19 ივნისს სასტიკ პროტესტს აცხადებდა და მის და მისი მეგობრების ტაქტიკას პოლიტიკური მიზანშეწონილობით ამართლებდა. დაბოლოს ლიობე დასძენდა, რომ პარტიის ხელმძღვანელი ორგანო გერმანიაში რჩებოდა და იმ სოციალდემოკრატებს, რომელნიც უცხოეთში გაიხიზნენ, არ აქვთ არავითარი უფლება გერმანიის სოციალდემოკრატიის სახელით ილაპარაკონო. ლიობეს ასეთი განცხადებით პარტიაში იწყებოდა აშკარა რღვევა და განხეთქილება. მაგრამ ლიობე და მისი თანამოაზრენი ვერ იხსნა ვერც ჰიტლერისადმი ნდობის გამოცხადებამ და ვერც მათ გადაჭარბებულმა და უპრინციპო შეგუების პოლიტიკამ.

გერმანიის მთავრობის 22 ივნისის დეკრეტით გერმანიის სოციალდემოკრატიას ეკრძალება ყოველგვარი აქტიური პოლიტიკა.

რეიხსტაგის, ლანდტაგების და მუნიციპალიტეტების ყველა სოციალდემოკრატ წევრებს ამიერიდან აღარ შეუძლიათ ისარგებლონ იმ უფლებებით, რომელიც მათ მათი მანდატებით აქვთ მინიჭებული. ისინი აწი ველარ მიიღებენ ხვედრ გასამრჯელოს. სოციალისტების კრებები აღკვეთილია. პარტიული ყველა გაზეთები და ჟურნალები დახურულია. პარტიის მთელი ქონება ჩამორთმეულია. არც ერთ მოსამსახურეს და მუშას, რომელიც იღებს ჯამაგირს, ან პენსიას სახელმწიფოდან, თუ ქალაქის თვითმართველობიდან, უფლება არ აქვს ეკუთვნოდეს სოც.-დემოკრატიულ პარტიას.

სოციალდემოკრატიის ლიკვიდაციას ჰიტლერი მით ასაბუთებს, რომ სოციალისტები ცბიერობენ და ორმაგ პოლიტიკას აწარმოებენო: სანამ ველსი გერმანიაში ცხოვრობდა ის ინტერნაციონალში დარჩენას საჭიროთ აღარ ცნობდა და იქიდან გამოვიდა კიდევაც; ეხლა კი, როცა ის საზღვარ-გარეთ არის გახიზნული, მან გასვლის ქაღალდი უკან წაიღო და ინტერნაციონალს ხელახლათ დაუბრუნდა. ამავე დროს გერმანიაში დარჩენილი სოციალდემოკრატები გარკვეულათ და კატეგორიულათ არ იმიჯნებიან იმ სოციალისტ-ემიგრანტებისაგან, რომელნიც ჩეხოსლოვაკიაში გაიქცენ და იმყოფებიან. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ სოციალდემოკრატია ერის და სახელმწიფოს მტერია და მას სასტიკათ უნდა ვებრძოლოთო.

ამნაირათ ჰიტლერის მთავრობამ მთელი გერმანიის სოციალდემოკრატია კანონს გარეშე გამოაცხადა, მას ყოველგვარი ლეგალური არსებობის სა-

---

აბატონებენ ყოველნაირი საშუალებით ხალხზე, ამით სპობენ ხალხის თავისუფლებას მის წინაშე და ამავე დროს ოცნებობენ დემოკრატიაზე! ეს გასაოცარი გარღვევა ეკონომიური საფუძვლის და პოლიტიკური ზედშენობის სწარმოებს მთელ ხაზზე და საზოგადოება ვარდება მის მიერვე დაგებულ ისტორიულ ხაფანგში.

თავისუფლების რეჟიმი გულისხმობს შესაფერ ეკონომიურ რეჟიმს; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ორი ფორმით—ინდუვიდუალურის და საზოგადოებრივის, ე. ი. თავისუფალი უნდა იყოს ეკონომიური შემოქმედება ან პიროვნების ან საზოგადოების; პირველი მოგვცა ბურჟუაზიამ, მეორე უნდა მოგვცეს პროლეტარიატმა; მესამე ხაზი, მესამე ფორმა თავისუფლებისა არ არსებობს, ისტორიას არ მოუცია. მაშასადამე, დღის წესრიგში დგას არა საკითხი თავისუფლების, არამედ საკითხი სოციალური რეჟიმის, ეკონომიკის, რომლის გამარჯვებასან შეკავშირებულია თავისუფლების დამაგრება.

ამნაირათ, ეტატიზმი შეუთავსებელია სოციალიზმთან, თავისუფლებასან, პიროვნების და საზოგადოების ბატონობასან. ის არის წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია კაპიტალიზმის მათრახით მოსაშინაურებლათ, ქვეყნის ეკონომიკის და პოლიტიკის შუათანა კლასების მდგომარეობის და გაგების დონეზე გასაყინებლათ, «კაპიტალიზმის სოციალისტური პრინციპით» შეკეთება და მის სამიდღემჩიო, უკვდავ მოვლენათ გამოსაცხადებლათ.

სოციალიზმის დამახასიათებელია, როგორც ვთქვით, არა გეგმიანი წარმოება, არამედ შრომის გაყვლეფის მოსპობა, კლასთა ბატონობის გაუქმება და უკლასო თანასწორი საზოგადოების მოწყობა. ხოლო ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თვით მშრომელთა შეერთებით და ბრძოლით. მოაკელით მათ ეს საშუალება, ხოლო იმავე დროს მოსპეთ კაპიტალისტების კლასები, მთელი დღევანდელი ბურჟუაზიული ურთიერთობა, ამით შრომის ექსპლუატაცია ოდნავათაც არ სუსტდება, სოციალიზმის აჩრდილიც კი არ ჩნდება. რატომ? იმიტომ რომ ექსპლუატაციის მხოლოდ ფორმა იცვლება, ძველი ბატონების ალაგას იჭერენ ახალნი—ხელისუფლება და მისი მოხელენი და ძველი ამბავი ისევ გრძელდება. ლიბერალიზმი იძლევა საშუალებას ბრძოლისას, ეტატიზმი ამას სპობს და ამყარებს ძალმომრეობას. მაშასადამე, ეტატიზმი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ მიიმართება პირდაპირ წინააღმდეგ სოციალისტური დროშისა და მიზნისა. ამიტომ სრულიად სამართლიანათ სკვნიდა კლასიკური სოციალიზმი იმათ შორის საერთო არა არის რაო.

დღეს გაჩაღებული ბრძოლა პიროვნებას და სახელმწიფოს შორის ძველი ამბავია, განმეორებაა გავლილი ისტორიული ეტაპების ახალი შინაარსით. ახალი ფაქტორი აქ უნდა ყოფილიყო მესამე მხარის გამოჩენა და მათთვის დაპირდაპირება. ეს მესამე მხარეა საზოგადოება, პიროვნებათა კრებული, რომელიც არსებობს რეალურათ და რაზედაც დაემყარა სოციალიზმი. მაგრამ მოხდა საოცარი იდეიური არევა, საზოგადოებათ გამოცხადდა სახელმწიფო, ამიტომ სახელმწიფო ეკონომიკა საზოგადო ეკონომიკათ. გამოდის რომ ცხოვრებიდან საზოგადოება, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, გამქრალია და ის პოლიტიკურ აპარატათ გადაქცეულა. უეჭველია, დღეს საზოგადოება ხატავს თავის პოლიტიკურ მდგომარეობას სახელმწიფოს ფორმით, მაგრამ ეს ფორმა მას არ ფარავს, მთელ მის ცხოვრებას არ ხატავს, მის მაგიერობას ვერ სწევს და მაშასადამე ის რჩება იმათ რაც არის მიუხედავათ ამ ფორმისა და მისი მრავალნაირათ ცვალებადებისა.

სახელმწიფო არის ხელოვნური მოვლენა, შექმნილი ადამიანების მიერ მათი ევოლიუციის განსაზღვრულ საფეხურზე. საზოგადოება კი არის მოვლენა ბუნებრივი, სოციოლოგიური, არსებობს თავიდანვე, ადამიანთა გაჩენიდან, ცხოვრობს, ვითარდება და იცვლება თავისთავათ, მისი შინაგანი კანონების თანახმათ, ადამიანთა სურვილების და პლანების დამოუკიდებლათ. მის საშოში წარმოებული სოციალური ბრძოლა გახდა მიზეზი სახელმწიფო ძალაუფლების ორგანიზაციისა ძლიერთა მიერ და ამ იარაღით მათი ბატონობის გამტკიცება. ცხადია, ეს ორი ფენომენი—საზოგადოება და სახელმწიფო—არსებობდა და არსებობს ცალ-ცალკე, გათიშულათ, ერთიმეორეზე დამოუკიდებელნი და მხოლოდ განსაკუთრებითი მიზნით ერთიმეორეზე გადაბმულნი. როგორც კი გაუქმდება მჩაგრავი კლასები, დაიფუშება მათი პოლიტიკური ორგანიზაციაც, გაუქმდება სახელმწიფო, ხოლო საზოგადოება დარჩება. ბრძოლა სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებული კლასების, და საზოგადოების, ე. ი. დამორჩილებული უმრავლესობის, შორის არის მუდმივი, შეუჩერებელი და თავდება ხან სახელმწიფოს მიერ საზოგადოების დანგრევით (ეგვიპეტი. რომი და სხ.), ხან საზოგადოების მიერ სახელმწიფოს «ღამის ყარაულათ» გადაქცევით (დიდი რევოლიუცია), ხან ორივეს ერთათ დაქცევით (ურიასტანი, ქალდეია, ასირია და სხ.). მათ შორის მშვიდობიანი, ურყევი და ორივე მხარისათვის მისაღები ურთიერთობის დამყარება ისტორიას არ მოუცია. ერთათ-ერთი სოციალიზმი ფიქრობს ამ ბრძოლის მოსპობას თვით მისი მიზეზის—გაბატონებული კლასების მოსპობით და ძველი საზოგადოებრივი წონასწორობის აღდგენით ახალ ეკონომიურ ბაზაზე.

ამნაირათ, საზოგადოებრივი და სახელმწიფური მიმდინარეობათა შორის სოციალიზმის პოზიცია ცნობილია, ის მუდამ წარმოადგენს პირველს და ებრძვის მეორეს. მათი არა ერთიმეორეში გალესვა და ათქვეფა, არამედ გაყოფა, ერთის გაძლიერება, მეორის მინიმუმამდე დაყვანა—აი ჩვენი სამოქმედო ხაზი. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, აპოლიტიციზმს, პოლიტიკურ უხასიათობას, ვიწრო სინდიკალიზმში ჩარჩენას, მაგრამ არ ნიშნავს არც ეტატიზმს, არც მხოლოდ პარლამენტარიზმს, «დემოკრატიულ მეთოდს», იერიხონის საყვირით სიმაგრეების აღებას. სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობა უეჭველი პირობაა ყველა რევოლიუციის; მაშასადამე ბრძოლა ამ ნიადაგზე სავალდებულოა. მაგრამ დაპყრობილ ძალას როგორ მოვიხმართ, ისე როგორც ბოლშევიკებმა, ერთი ბატონის მაგიერ მეორის გამწესება, თუ თვით მშრომელ საზოგადოებას მიეცემა საშუალება ააწყოს საერთო ეკონომიკა თავის სურვილისამებრ. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო რჩება «ღამის დარაჯის» როლში, ე. ი. უდარაჯებს აწყობილ საზოგადოებრივ ნივთიერ ურთიერთობას, არ ანებებს მტერთ და ორგულთ მის დაფუშვას და როდესაც ახალი ცხოვრება ძირ-გადგმული იქნება, საფრთხე აღარ მოელის და დასაცავიც აღარაფერია, სახელმწიფო მექანიზმი სიძველეთა მუზეუმში შეინახება. სოციალისტური რევოლიუცია ნიშნავს შრომის იარაღთა მიცემას როგორც კერძო მწარმოებელთა, ისე მწარმოებელთა საზოგადოებისათვის დადგენილ სოციალური ეკონომიკის ფარგლებში სამუშაოთ და მოსახმარათ. ამ მიზნით დგება საწარმოვო ამხანაგობები და კოოპერატივები შრომის ყველა დარგში, მათი შეერთება და კავშირების დაარსება როგორც ადგილობრივის, ისე ცენტრალურის, მათი ერთიმეორეზე გადაჯაჭვა, ამ ქსელში შემოყვანა საკრედიტო ორგანოების, საზოგადოთ ერის მთელი ეკონომიური აქტივობის ჩამოყალიბება სხვადასხვა ფორმის და სახის მოგვცემს შესაძლებლობას საზოგადოების ეკონომიურათ და პოლიტიკურათ შექმნისას სახელმწიფოს გარეშე.

ეტატიზმი ამ პროცესს, ამ რევოლიუციას არა თუ არ აადვილებს, არ გვაახლოვებს, არამედ პირიქით სავსებით ხელს უშლის, ეწინააღმდეგება და გვაშორებს. რევოლიუციურ კლას ურჩევნია მის წინ იდგეს ერთი ძალით შეიარაღებული ბატონი, კერძო კაპიტალისტი, ვინემ ორმაგათ შეიარაღებული კაპიტალისტი—სახელმწიფო. და პირიქით, თუ ასეთი მებრძოლი კლასი არ არის, თუ რევოლიუცია შეცვლილია ევოლიუციით, პარლამენტარიზმი საზოგადოების გამარკუნებელ პანაცეათ, მაშინ, რასაკვირველია, ეტატიზმი რჩება მთავარ სამოქმედო სარბიელათ და რეფორმიზმი მის გზათ და ხიდათ. ამ შემთხვევაში ეტატიზმი არის გამოხატულება რევოლიუციური ნებისყოფის დაუძლურების, კლასიური ენერგიის მოშლის და ბრძოლის განელების. ამ მდგომარეობას ჩვეულებრივათ ამართლებენ ორი მოსაზრებით: სოციალური რევოლიუციის მოუმწიფებლობით და უმრავლესობის შეუგნებლობით. თუ მარქს ამ 60 წლის წინეთ ეგონა სოციალური რევოლიუციის შესაძლებლობა და კიდევაც ელოდა, ეს თურმე დღესაც, ამ კაპიტალისტური მეურნეობის გახრწნის აშკარა ხანაშიაც, შეუძლებელი ყოფილა. თუ კიდევ ეს მეურნეობა უმწიფარია, ცხადია ის კიდევ ზდის და გაჯანსაღების ასაკში ყოფილა, ხოლო არსებული კრიზისი შემთხვევითი მოვლენა, გამოწვეული ზრდით და არა სიბერით, თეზა ლიბერალიზმის და გზა დაბნეული ეკონომისტების. ეს «მწიფისტები» უმწიფრათ სთვლიან ევროპას, ხოლო რუსეთი კი დამწიფებულათ მიაჩნიათ. ამ ლიბერალურ უკან დახევას ისინი ასაბუთებენ იმითაც, რომ სოციალიზმი მოითხოვს აყვავებული ეკონომიკის არსებობას და არა კრიზისსო. ჯერ ერთი, თუ ეს მათ სჯერათ, რატომ რუსეთი მიაჩნიათ სოციალიზმის გზაზე დამდგარათ, ე. ი. წარმოების დაცემა და საერთო სიღატაკე სოციალიზმის წინაკარებათ. არის ორგვარი კრიზისი: განაწილების, დამზადებული საქონლის მოხმარების და თვით წარმოების, საქონლის დამზადების დასუსტების. პირველის მაგალითია ევროპა, მეორის რუსეთი. აქ სოციალიზმის შეუძლებლობა აშკარაა, იქ, პირიქით, უამრავი საქონლის დამზადების შესაძლებლობა აუცილებლათ ხდის მის წესიერათ განაწილებას, საზოგადოების მიერ მოხმარებას. არასოდეს არ ყოფილა ისე გამწვავებული ანტაგონიზმი სიმდიდრის სოციალურათ დამზადების და ინდივიდუალურათ განაწილების შორის როგორც ეს დღეს არის. ეს ჩინებულათ აწყობილი საწარმოვო საშუალებები, ეს უდიდესი ტეხნიკური მიღწევანი მექანიზაციის და რაციონალიზაციის სფეროში შეადგენენ მზამზარეულ ბაზას მათი საზოგადოების სასარგებლოთ ასამუშავებლათ, საკმარისია მოაშოროთ მას კერძო პირების ბატონობა და მათ ალაგას ჩააყენოთ საზოგადოება. ობიექტიური პირობები, ეკონომიური საძირკველი სოციალიზმისა მომზადებულია. შეგნება? «ხალხს თავზე ვერ მოახვევს პატარა უმცირესობა ახალ ეკონომიურ სისტემას. ის უნდა გამოვიდეს მშრომელთა ფართე მასების საკუთარი სურვილისაგან. ამიტომ

შუალება მოუსპო და «შემგუებლების» უკანასკნელი ილიუზიები საბოლაოთ გაფანტა. დღეს მთელი პარტია ჩაყენებულია ერთნაირ პირობებში და ის იძულებულია იმუშაოს მხოლოთ არალეგალური გზებით და საშუალებით. როგორც ამბობს ფორვერტსი, რომელიც ეხლა ორ-კვირეულათ პრაღაში გამოდის, უხეში ძალის ჩარევით ტაქტიკური განსხვავებანი ბერლინს და პრაღის შორის ამ დროებით ამოწურულია. გერმანიის სოციალდემოკრატიის მთლიანობას და მის დაუნდობელ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ ერის გასანთავისუფლებლათ პარტიაში ამ უკანასკნელ ხანებში არსებული უთანხმოება დღეს ხელს აღარ უშლის.

ბელგიის მუშათა პარტიის კონგრესი.

ამ კონგრესს, რომელსაც ადგილი ქონდა ბრიუსელში 27 და 28 მაისს, მეტათ რთული და ძნელი ტაქტიკური პრობლემები ქონდა გადასაწყვეტი.

მიუხედავათ ბელგიის სოციალისტური პარტიის სასტიკი წინააღმდეგობისა, ბელგიის მთავრობამ ამას წინეთ შესძლო მიელო სენატის და პარლამენტისაგან განსაკუთრებული უფლებები, რაც მას საშუალებას აძლევს უპარლამენტოთ იმუშაოს და იმთავრობოს. ეჭვი არ არის მთავრობა შეეცდება ეს უფლებები გამოიყენოს და ის მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართოს. კონგრესის მთავარი მიზანიც იმაში მდგომარეობდა, რომ გამოენახა ზომები და საშუალებანი მთავრობის რეაქციონურ გეგმების ჩასაფუშავათ და მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ.

მთავარი მომხსენებელი კონგრესზე ვანდერველდე იყო. თავის მოხსენებაში ის ვრცლათ შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და დეტალურათ განიხილა ბელგიის პოლიტიკური და სოციალური პრობლემები. ვანდერველდე აღნიშნავდა ორ ტენდენციას ბელგიის სოციალისტურ პარტიაში. ერთი ტენდენცია თხოულობს მთავრობაში მონაწილეობის მიღებას, მეორე კი საერთო გაფიცვის, თუ შეიარაღებულ აჯანყებისათვის ეხლავე მზადებას. ვანდერველდე აცხადებდა, რომ ის შეურიგებელი და კატეგორიული წინააღმდეგი იყო დღევანდელ მთავრობაში მონაწილეობისა; მონაწილეობის მიღება, მისი აზრით, შესაძლებელია მხოლოთ იმ პირობებში, თუ მთავრობა სოციალისტების ხელმძღვანელობის ქვეშ იქნებოდა. მეორე მხრივ ბელგიის მუშათა პარტია, როგორც ეს ამ უკანასკნელათ შვეიცარიის და ავსტრიის მოძმე პარტიებმა განაცხადეს, დგას დემოკრატიის ნიადაგზე და მას დასტოვებს მხოლოთ მაშინ, თუ ბურჟუაზია თვითონ მიატოვებს და გამოვა ლეგალური მოქმედების ჩარჩოებიდან.

კონგრესმა 259.650 ხმით 103.604-ის წინააღმდეგ და 26.125-ის თავდაჭერით მიიღო რეზოლიუცია, რომლის მთავარი დებულებები შემდეგია:

ბელგიის ბურჟუაზიული პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პარლამენტის როლი მინიმუმამდე ჩამოაქვეითონ, მის მუშაობას სახელი გაუტონ და საბოტაჟი გაუკეთონ, კონსტიტუციის გვერდის ახვევით გაადიდონ მთავრობის უფლებები და ამ გზით შეგნებულათ, თუ შეუგნებლათ ნიადაგი მოუმზადონ დიქტატორულ რეჟიმს, რომელიც მუშათა კლასს ხელიდან გამოაცლიდა ყველა იმ უფლებებს და თავისუფლებას, რომლისთვისაც მას ამდენი მსხვერპლი გაუღია და უბრძოლია.

ბელგიის მუშათა პარტია ენერგიულათ შეებრძოლება ასეთ თავდასხმებს და მათ მოსაგერიებლათ მიმართავს ყველა იმ პარლამენტარულ, თუ არა პარლამენტარულ ზომებს და საშუალებებს, რაც გააძლიერებს პროლეტარიატის ორგანიზაციებს, ხელს შეუშლის რეაქციონერების განზრახვებს, მოამზადებს მუშათა ძალების გაერთიანებას და დააჩქარებს პოლიტიკურ დემოკრატიის სოციალისტურ დემოკრატიათ გადაქცევას.

კონგრესი უარყოფს არალეგალური ბრძოლის ინიციატივის თავის თავზე აღებას, მაგრამ აცხადებს, რომ საგარეო ტრაღიკული მაგალითები და შინაური უკანასკნელი ამბები მუშებს სრულ უფლებას აძლევს თავდასაცველათ შესაფერი ზომები მიიღონ და დღეიდანვე ბრძოლის ყველა საშუალებებს მიმართონ.

რაც შეეხება საერთო გაფიცვას, როგორც ბრძოლის საშუალებას, კონგრესი ავალებს პარტიის გენერალურ საბჭოს მკვიდრ კავშირში იყოს სინდიკალურ კომისიასთან და მასთან შეთანხმებით მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიღება და ცხოვრებაში გატარება მდგომარეობის მიხედვით აუცილებელი იქნება.

ფაშიზმის გავრცელების საშიშროების გამო კონგრესი ადგენს. გაძლიერებულ იქნას მუშათა თავდაცვის მილიცია და გაიწიოს აქტიური პროპაგანდა ჯარში გასაყვან ახალგაზდათა შორის. რათა ბურჟუაზიას წაერთვას საშუალება გაფიცვებში იარაღის ხმარებისა და მისი დემოკრატიის წინააღმდეგ გამოყენებისა.

კონგრესი ფიქრობს, რომ ბელგიის მუშათა პარტია მზათ უნდა იყოს ყოველივე მოსალოდნელობისათვის და სისწრაფით მოიწვიოს პარტიის განსაკუთრებული ყრილობა მთავრობის კრიზისის, თუ სხვა რომელიმე მძიმე პოლიტიკური მოვლენის გამო, რომ მით მუშათა კლასს საშუალება მიეცეს თავისუფლათ აირჩიოს ესა თუ ის გზა და ხელშეკრული არ იყოს ისეთი გადაწყვეტილებებით, რომელიც მიღებულ იქნა ისეთ პირობებში, როცა დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინება მისთვის შეუძლებელი იყო.

ამ რეზოლიუციიდან ნათლათ სჩანს, რომ მთავრობაში პარტიის მონაწილეობის საკითხი ღიათ არის დატოვებული, რაც შეეხება საერთო გაფიცვას, ის კი, როცა ამას მდგომარეობა მოითხოვს, ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებათ არის აღიარებული.

◆

საბჭოთა კავშირში

შიმშილი.

დიდ ომამდე ევროპა სანახევროთ რუსეთის პურით იკვებებოდა, რუსეთს ევროპის მარჩენალს უწოდებდენ. დღეს კი ეს პურის ქვეყანა საზღაპრო სიმშილის სამეფოს წარმოადგენს. რუსეთიდან დაბრუნებული ამერიკელ პროფესორის რიჩარდ სელეტის მიერ შეკრებილ ცნობებით უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში სამხრეთ და აღმოსავლეთ რუსეთში, ვოლგაზე, უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაში შიმშილით დახოცილთა რიცხვი 10 მილიონამდე აღწევს; ზოგიერთ სოფლებში ამ უბედურების მსხვერპლთა პროცენტი 80-ს უდრის.

გულის შემზარავი ამბები მოაქვს «ერთად ერთ სოციალისტურ ქვეყნიდან» მიღებულ კერძო წერილებს. «პურს თვეობით ვერ ვხედავთ, შიმშილით ვიხოცებით, გვიშველეთ!» აი ჩვეულებრივი შინაარსი ყოველი წერილის. «პოსლ. ნოვოსტ»-ის თანამშრომელს პროფესორ ა. მარკოვის მიერ გამოქვეყნებულ ყუბანიდან მიღებულ ერთ წერილში ვკითხულობთ: «რაც ჩვენში ხდება საშინელებაა. შიმშილით იხოცებიან მთელი სტანიცები. მთელი კვირაობით მკვდრები ქოხებში ყრიან, დამმარხველი კაცი არ არის. მკვდრებს სასაფლაოზე მიათრევენ უკუბოთ და დაუმარხავათ ერთს მეორეზე აყრიან. ხშირათ ქუჩის კუთხეებში ნახავთ ძაღლების მიერ დაჭმულ გვამებს. ძაღლები და კატები თითქმის სულ შეჭმულია. ცხენის ხორცი ფუფუნებაა. ჭამენ კაცის ხორცს, ბაზარზე ხშირათ იპოვით კაცის ხორციდან დაკეთებულ კატლეტებს და ძეხვებს. სტანიცებში ძალიან ხშირია დედების მიერ შვილების და ქმრების დაკვლა თავის გამოსაკვებავათ. ეს არ არის ზღაპარი (წერილის ავტორი ასახელებს ცოლის მიერ დაკლულ ქმრის სახელს, რომელსაც ადრესატი კარგად იცნობდა). ქუჩებში, ბაზარზე, სადგურებზე მოპნეულია მკვდრები, ისე შეეჩვია ყველა ამ სანახაობას, რომ იგი არავისზე არ მოქმედობს».

იმავე ა. მარკოვს მოყავს ერთი გერმანელ კოლონისტის ბროშიურიდან ამოღებული შემდეგი ადგილი: «მე ვიყავი ჩრდილოეთ კავკასიაში. არ შეიძლება იმის აღწერა, რაც იქ ხდება. ხალხს სრულიად არა აქვს საჭმელი. ყოველ დღე კვდება უამრავი ხალხი. როდესაც პირუტყვი მოკვდება, მის ირგვლივ შემოიკრიბება ურიცხვი ხალხი, რომ ლეში დაიყონ. წარმოუდგენელი სიხარბით ჭამენ ტყავსაც. ამას წინეთ შემდეგი მოხდა: რამდენიმე კაცი მიდიოდენ მინდორში თივისთვის; გზაში, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, ნახეს ორი მკვდარი ცხენი. არავინ იცოდა რამდენი ხნის მკვდარი იყვენ ეს ცხენები, მაგრამ როგორც კი სოფელმა გაიგო ეს ამბავი, უმალ მიაწყდენ ნაჩვენებ ადგილს და დაიტაცეს მკვდარ პირუტყვების ლეში. რა მოხდა ამის შემდეგ? ბევრი გახდა ავათ, რამდენიმე კაცი კიდეც მოკვდა. არავინ კითხულობს რით მოკვდა პირუტყვი, ყოველი კაცი იმას დაეძებს თუ რა შეჭამოს. ძაღლები და კატები უკვე არსად ჩანან, სულ შეჭამეს. ერთ სახლში მოკვდა ოჯახის უფროსი. მეზობლები უცდიდენ, რომ ცოლი მოვიდოდა დამარხვის თაობაზე მოსალაპარაკებლათ; ცოლი არ მოვიდა; მაშინ მეზობლებმა თვითონ მიაკითხეს და რა ნახეს? მკვდრის წინ იჯდა ცოლი და შვილი. შეკითხვაზე, თუ რას შვრებიან, ასეთი პასუხი მიიღეს: ვთათბირობთ იმაზე თუ რა ჯობს,—დავმარხოთ მიცვალებული თუ შევჭამოთ. ასეთ რამეებზე ხშირათ ლაპარაკობენ. წარმოუდგენელი გაჭირვება იყო 1921 წელში, მაგრამ დღევანდელ გაჭირვებასთან მისი შედარებაც კი არ შეიძლება. ზოგ დიდ სოფელში მოსახლეობის ნახევარი გაწყდა. ბევრი სახლი სრულიად უპატრონოთ არის დარჩენილი და ინგრევა».

საბჭოთა ხელისუფლებას ეს გარემოება ოდნავადაც არ აფიქრებს, ის მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ დამშეულმა პურით ნათეს ყანას არ მიეპაროს და ერთი პეშვი ხორბლის მარცვალი არ მოიპაროს. ყანებს დღე და ღამე შეიარაღებული ჩეკისტები იცავენ; შიმშილით ღონე მიხდილ «ქურდს» კი სიკვდილით სჯიან.

სავსებით გამართლდა განსვენებულ გ. პლეხანოვის წინასწარმეტყველობა,—ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სოციალიზმის ნაცვლათ მოაწყო გაუგონარი შიმშილი.

გადაასწრეს.

წავეწევით და გადავასწრებთ როგორც ევროპას ისე ამერიკასო,—იმეორებენ წამ და უწუმ კრემლის ბატონები. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვხედავთ, რომ მათ შიმშილის მოწყობაში შორს გადაუსწრეს დაქირავებულ ჩინელ ღენერლებს. ბოლშევიკებისათვის ეს კარგად დამახასიათებელი მიღწევაა, მაგრამ მას არ ჩამოუვარდება მათი ახალი მიღწევა, რომლითაც წინ გაუსწრეს ყველა ველურ ხალხებს.

30 ივნისის «კომს. პრავდა» ურცხვათ იუწყება, რომ ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტის ენერგო გრაფიულ ფაკულტეტის სტუდენტობას გუთანში უბამენ—20-23 კაცს თითოში—და სახნავათ გაყავთ.

სად ან რომელ ველურ ქვეყანაში გაიგონებთ დღეს ასეთ ამბავს?!. მხოლოდ და მხოლოდ «ერთად ერთ სოციალისტურ სახელმწიფოში».

სკრიპნიკის თვითმკვლელობა.

ხარკოვში თავი მოიკლა უკრაინის განათლების სახალხო კომისარმა და სრულიად კავშირის კომპარტიის ცეკას წევრმა ძველმა ბოლშევიკმა სკრიპნიკმა. ამ რამდენიმე ხნის წინათ სტალინის «დერჟიმორდებმა» გააფთრებული კამპანია გააჩაღეს აწ უკვე განსვენებულ სანოვნიკის წინააღმდეგ; მას ბრალათ სდებდენ ნაციონალურ გადახრას და უკრაინელ ნაციონალისტებისადმი ლოიალობის გამოჩენას. როგორც ირკვევა მოსკოვმა მოსთხოვა სკრიპნიკს თავის მოღვაწეობის დაგმობა, თავისი თავის გამათრახება და სრული შენანიება ჩადენილ ცოდვებისა. სკრიპნიკმა ასეთ თავის გათახსირებას და დამცირებას ამჯობინა თავის მოკვლა.

ხარკოვიდან მიღებულ ცნობებით ამ თვითმკვლელობას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პარტიულ წრეებში. ხელმძღვანელთ შორის დიდ არევ-დარევას აქვს ადგილი; დღითი დღე მოელიან ბრძანებას უკრაინის კომპარტიის სრულიად დაშლის შესახებ; მას ბრალდებათ უყენებენ ნაციონალისტურ მიდრეკილებების აშკარა გამომჟღავნებას.

მეორე მხრით მოსკოვთან კავშირის ერდგულებმა მძაფრი პროპაგანდა განაახლეს უკრაინელ ნაციონალისტების წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვენ მოსკოვისაგან უსასტიკესი ზომებით მის განადგურებას.

ვინაიდან ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეთა შორის მდგომარეობა მეტად გამწვავებულია და გლეხობა სრულ სიმპატიას იჩენს ნაციონალისტებისადმი, მოსალოდნელია საშიში გართულებანი ხორბლის შეგროვების მახლობელ კამპანიის განმავლობაში.

ახალი დეკრეტი.

კომუნისტური ხელისუფლება გაცხარებულ სამზადისშია. მას გადაწყვეტილი აქვს რათაც არ უნდა დაუჯდეს პურის მთელი მოსავალი ჩაიგდოს ხელში. ამ მიზნით გამოცემულ დრაკონულ ურიცხვ დეკრეტებს კიდევ ერთი ახალი დაემატა მოლოტოვისა და სტალინის ხელის მოწერით.

ამ დეკრეტის მოთხოვნით პურის რაიონის ყველა სადგურებში უნდა მოეწყოს სადგურის კომიტეტები, რომელთაც ევალება თვალყური ადევნოს დამშეულთათვის წართმეულ პურის შეუფერხებლათ გზავნა დანიშნულ ადგილისაკენ. ბოროტ განზრახვისა და საბოტაჟის შემთხვევებში სადგურის კომიტეტები პასუხს აგებენ სპეციალური ტრიბუნალების წინაშე იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც დამნაშავენი აღმოჩენილი და დატუსაღებულნი არიან. ამ დეკრეტს საშინელი პანიკა გამოუწვევია რკინის-გზელთა წრეებში.

პლანეტარული ხანძარი.

საბჭოთა კავშირში პლანეტარულია არა მარტო გეგმები და მიღწევები; იქ სტიქიური უბედურებაც კი პლანეტარულ ხასიათს ღებულობს.

პროკოპიევსკის მიდამოების (აღმოსავლეთ ციმბირში) ნახშირის მაღაროები უმდიდრეს მაღაროებათ ითვლება მთელს მსოფლიოში. ვარაუდით ნახშირის მარაგი ერთ ბილიონ ტონას უდრის და ოთხჯერ ჭარბობს მთელ ინგლისის მარაგს. ამ მაღაროების საექსპლოატაციოთ ბოლშევიკებმა დახარჯეს მილიარდები. როგორც გერმანულ გაზეთის «კელნ. ცაიტუნგის» კორესპონდენტი იტყობინება, დღეს ეს მაღაროები ცეცხლის ალშია გახვეული.

კორესპონდენტის გადმოცემით მუშაობა მაღაროებში წინააღმდეგ გერმანელ ინჟინრების რჩევისა სწარმოებდა ისეთი წესით, რომელმაც საქმე კატასტროფამდე მიიყვანა და პროკოპიევსკის უზარმაზარი ნახშირის მთა ერთი კიდიდან მეორემდე პლანეტარული ხანძრის ლუკმათ გადააქცია.—არასოდეს მსოფლიოს არ უნახავს ასეთი დიდი მასშტაბის ტეხნიკური სკანდალიო,—დასძენს კორესპონდენტი და განაგრძობს: «პროკოპიევსკის კატასტროფის შედეგები აურიცხავია. პროკოპიევსკის ნახშირის უქონლობა შეაფერხებს მუშაობას და გავლენას იქონიებს მთელი კავშირის მრეწველობაზე, რომელიც დღეიდან დონის რაიონის ნახშირის ამარა რჩება... საბჭოთა კავშირის პრესა სიტყვას არ ძრავს ამ კატასტროფის შესახებ და ისე განაგრძობს წერას მხარის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, რომ თითქოს არაფერი მომხდარიყოს».

კორესპონდენტის აზრით ამ მაღაროებში წესიერ მუშაობის გაგრძელებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. დაკარგულ მილიარდების გარდა საჭირო დარჩება ახალი მილიონების დახარჯვა, რომ შესაძლებელი გახდეს ამ პლანეტარული ხანძარის ჩაქრობა.

◆

ედგარ მილოს იუბილე

26 ივნისს ჟენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში, სწორეთ იქ, სადაც ცხრა წლის წინ ჩვენმა დაუვიწყარმა კარლომ ლექცია წაიკითხა და სადაც სხვა მეგობართა შორის ჩვენმა დიდმა მეგობარმა ედგარ მილომ ძლიერ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის,—დიდ საიუბილეო ზეიმს ჰქონდა ადგილი ედგარ მილოს სამოცი წლის შესრულებისა, მისი ოცდაათი წლის პროფესორობის და საერთაშორისო შრომის ბიუროში 13 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

ეს დღესასწაული გულწრფელი პატივისცემით იყო აღბეჭდილი. მას დაესწრო რჩეული ხალხი, სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენლები, საერთაშორისო შრომის კონფერენციაზე მყოფი დელეგატები და სხ. თავმჯდომარეობდა რექტორის თანაშემწე რიშარი. რომელმაც ზეიმის გახსნისას მოახსენა მრავალრიცხოვან კრებას მილოცვების ბარათების და დეპეშების ნაწილი, რომელთა შორის გრძელი წერილი საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე მიკელის, სადაც მწუხარებას გამოსთქვამდა, რომ მას შეძლება არ ჰქონდა დასწრებოდა მის ძვირფას მასწავლებლის იუბილეს და სადაც ის ქებას ასხამდა იუბილიარის მეცნიერულ მოღვაწეობას. საერთო ყურადღება მიიპყრო აგრეთვე საქართველოს მთავრ. თავმჯდომარე, ჟორდანიას დეპეშამ, რომელშიდაც ულოცავდა ედგარ მილოს სამოცი წლის თავს და უსურვებდა მას ხანგრძლივ სიცოცხლეს დაჩაგრულთა საბედნიეროთ. რექტორმა მადლობა გადაუხადა რა ჟენევის მთავრობის თავმჯდომარე ლაშენალს, რომელიც განათლების მინისტრიცაა, დღესასწაულზე მთავრობის დასწრებისათვის, სიტყვა მისცა სოციალურ და ეკონომიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს ბაშელს.

ბაშელმა ვრცლათ დაახასიათა ედგარ მილოს მეცნიერული მოღვაწეობა. ილაპარაკეს, მის შემდეგ, გარდა სტუდენტების და ყოფილ მოწაფეთა საზოგადოებების წარმომადგენლებისა, განათლების მინისტრმა ლაშენალმა და საერთაშორისო შრომის ბიუროს დირექტორმა ბუტლერმა. პირველმა მოულოცა იუბილიარს მთავრობის სახელით და აგრეთვე პირადათაც, რადგან ისიც, როგორც რექტორი რიშარი და დეკანი ბაშელი, ედგარ მილოს ყოფილი მოწაფე აღმოჩნდა. მხურვალე ქება შეასხა მილოს ბუტლერმაც.

დიდის მღელვარებით, მარა აგრეთვე დიდის თავდაჭერით, იუბილიარი აცხადებს, რომ მან ამ ძნელი მომენტის თავიდან ასაცილებლათ ბევრი იომა, მარა მისმა მეგობრებმა მაინც თავისი არ დაიშალეს, რომ მას წარმოდგენილი ქონდა ეს მისთვის ძნელი მდგომარეობა და ამისთვის სიტყვა დასწერა, მარა სიძნელემ მის მოლოდინს იმდენათ გადააჭარბა, რომ დაწერილი სიტყვის წაკითხვაც არ შეუძლია... მარა აქ მას მიეშველა ბუნებრივი მჭერმეტყველება, თვითეული მისი სიტყვა დამსწრე საზოგადოებას გულში ხვდებოდა, მას ხიბლავდა და აღელვებდა, ისე მოსწრებულათ მოსდიოდა საჭირო გამოთქმები. იუბილე ბრწყინვალეთ დასრულდა...

ხ. შ.

,,ბრძოლის ხმის'' ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ გაზეთის საფასური
ყოველ სამი თვით იხადონ.

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
2, rue de Varenne. Paris (7)

პირველი წინასწარი პირობა სოციალიზმისა არის ის, რომ ხალხის უმრავლესობა იყოს გაჟღენთილი სოციალისტური რწმენით. სოციალიზმის სურვილით», სწერს ოტო ბაუერი! *) რამდენათ სწორია ეს შეხედულება?

დემოკრატიული მეთოდის თვალსაზრისით, ბაუერი მართალია, ამას მოითხოვს პარლამენტარული თამაში, საარჩევნო და სამინისტრო სოციალიზმი, ეტატიზმი. აქ ლოღიკა დაცულია. მაგრამ მთელი ეს ლოღიკა, მთელი ეს პოზიცია სრულიად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. საზოგადოებაში ხდება ორგვარი პროცესი: ობიექტიური, ბუნებრივი, ადამიანის ნება-სურვილებისაგან დამოუკიდებელი. ეს ისტორიული დეტერმინიზმი იძლევა განვითარების კალაპოტს, მის საზღვარს, მის სიფართეს, სიღრმეს და შესაძლებლობას, რომელშიაც ცხოვრობს და მოძრაობს თვითეული პიროვნება. აი აქ ხდება მეორე პროცესი—სუბიექტიური, შეგნება არსებული მდგომარეობის, გაგება ობიექტიური პროცესის და მის ნიადაგზე, მის შესაფერათ აზროვნება და მოქმედება. პიროვნების ძალა განისაზღვრება ამ ობიექტიური დეტერმინიზმით, რომლის ფარგალში მისი როლი და მნიშვნელობა დიდია. პიროვნებას თუ პიროვნებათა გუნდს არ ძალუძს საზოგადოება დააშოროს მის ბუნებრივ კალაპოტს, გადაიყვანოს ის მისთვის უცხო ნიადაგზე, თვით შეუქნას მას სოციალური კანონები და უკარნახოს ისტორიულ ძალთა მსვლელობის ალაგას თავისი საკუთარი მსვლელობა. მაგრამ მას შეუძლია საზოგადოებას დაეხმაროს, უწინამძღვროს, გააცნობიეროს, იყოს მისი აზრის მესაიდუმლე, მისი ბრძოლის ბელადი. აი ეს აქტიური ნაწილი საზოგადოებისა არასოდეს არ უცდის «დემოკრატიული ლიტანიის» დასრულებას, თუ კი რევოლიუციური მდგომარეობა იქმნება და რეჟიმის შეცვლა შესაძლებელი ხდება. რევოლიუციას არ ახდენენ, ის ხდება ისტორიული მიზეზებით; მოწინავე პირთა საქმეა ეს შეიგნონ და მას ხელი შეუწყონ. ყველა რევოლიუცია შეიცავდა ორ ელემენტს: აქტიურს უმცირესობას და პასიურ უმრავლესობას. ეს უკანასკნელი მხოლოდ რევოლიუციის პროცესში, ფაქტების ძალდატანებით მიყვება პირველს და ხდება აქტიური. ე. ი. მისი აქტიობა და ამის შესაფერი შეგნება არის შედეგი და არა მიზეზი რევოლიუციის. როგორც კი უმცირესობა გამოვა ისტორიული კალაპოტიდან და დაუპირდაპირდება უმრავლესობას, ის ეცემა ან დიქტატურათ ხდება. ამის საქვეყნო მაგალითია საბჭოთა რუსეთი.

ამნაირათ, პარლამენტარული სოციალიზმის თვალსაზრისით რევოლიუცია საჭიროებს წინასწარ ფორმალურათ მის დადასტურებას უმრავლესობის მიერ, ხოლო რევოლიუციური სოციალიზმის შეხედულობით საკმარისია აქტიური უმცირესობა და მისი მუდმივი კონტაქტში დარჩენა უმრავლესობასან. ეს ფაქტიური კავშირი რევოლიუციის მსვლელობაში ბოლოვდება ფორმალური კავშირითაც, როგორც ეს იყო მაგ. კომუნაში. ეტატიზმი კლავს რევოლიუციურ სულს, სამოქმედო ნებისყოფას, სოციალურ აქტივობას. ის ხატავს «ჭკვიანი კაცის» ფილოსოფიას, რომელსაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, ნელა, ხანტათ ეძებს ამ კვერცხის შეძენის შანსებს. მისი აზრით სანატრელი ქათამი მისით მოფრინდება, ოღონდ დემოკრატიული მექანიზმი კარგათ იქნას ამოძრავებული და შეუცდომლათ დათვლილი. აი ამ თვლაში იყო გართული გერმანიის სოციალდემოკრატია, რომ უცებ არა თუ ანგარიში შეეშალა, არამედ თვით საანგარიშო მექანიზმიც სადღაც გაქრა და თვითონ განცვიფრებული დარჩა. ამ კატასტროფამ ლახვარი ჩასცა როგორც ეტატიზმს, ისე ეტატიურ ტაქტიკას, გამეფებულ სოციალურ ოპტიმიზმს, ვითომ უეჭველათ, ფატალურათ პროგრესს პროგრესი მოსდევს, ცუდი კარგათ თავდება, ხოლო პიროვნება აქ არაფერ შუაში იყოს. მარქსის ისტორიული დეტერმინიზმი გადაიქცა პოლიტიკურ უდარდელობათ, პანგლოსის ფილოსოფიათ (კანდიდიდან), ვითომ ყველაფერი საუკეთესოთ მიდიოდეს ამ ცოდვილ ქვეყანაზე. დემოკრატიზმი გადიქცა ამ მოძღვრების ღერძათ, გაზვიადებულ ფეტიშათ, ყოვლად მხსნელ პანაცეათ. ამ მხსნელის ასე საარაკოთ დაქცევა სვამს მთელი ამ მოძღვრების, მთელი ახალი სოციალიზმის გადაშინჯვის საკითხს.

დასკვნა. უდავოა არსებობა ახალი, ომის მერმინდელი სოციალიზმის, თავისი საკუთარი სოციალური კონცეპციით, საკუთარი ტაქტიკით და პრაქტიკული პოლიტიკით. ძარღვი მისი განსხვავებისა კლასიკური სოციალიზმისაგან მარხია შეფასებაში სახელმწიფოს როლის საზოგადოებაში. მათ შორის მიჯნაა ეტატიზმი, რომლის გაღმა-გამოღმა მიდის ორი ერთიმეორის მოპირდაპირე პოლიტიკური ხაზი: რევოლიუციური და ოპორტიუნისტული, პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული.

ეტატიზმის საბოლაო დასკვნაა ნაციონალური სოციალიზმი ანუ ბოლშევიზმი და ფაშიზმი.

ნ. ქ.

---

*) იხ. Der Weg zum Socialismus. 1919.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.